ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 23 მარტი, 2017 №69 (7304) ფასი: 50 თეთრი

## თვითმხილველი:

„11 წლის გოგონა დედასთან ერთად გაჩერებაზე იდგა, როცა მანქანა ჯერ განათების ბოძს, შემდეგ კი მათ დაეჯახა“ გვ.7




21 მარტიდან

რეი ბრედბერი

მარსის ქრონიკა

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი




# დაპირისპირება პარლამენტში



გვ.4



ეკა ბესელიამ გიორგი აბაშიშვილს ბეცი, უვიცი და თავხედი უწოდა

## ხათუნა გოგორიშვილი: „მარგველაშვილის კრიტიკაზე ხსნილია“



„პარლამენტი, კონსტიტუცია და კონსტიტუციის 48-ე მუხლი თქვენ გახსენდებათ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება პრეზიდენტ მარგველაშვილს“

## რომან გოცირიძე: „დადგეს ხალხი პარლამენტთან და დეპუტატებს ერთ ადგილას ქინძრები ურტყას“

გვ.5



კანონმდებლების დასჯას პრეზიდენტის ადმინისტრაციაც ითხოვს

## „დეპუტატებმა იციან, რომ მათ უსმენენ“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლების წარმომადგენლები მეუბნებიან, ტელეფონზე ვერ გეტყვი, პირადად გნახავ და მერე მოგიყვები“



## თორნიკე შარაშენიძე: „მოსმენები აუცილებელია, მაგრამ არა — პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ“

გვ.2



გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას თვალთვალი და მოსმენები ენატრება“



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას თვალთვალი და მოსმენები ენატრება“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პასუხობს.

***— ყბადაღებულ თემად იქცა კანონი მოსმენების შესახებ, დადებული და დაძლეული ვეტოები. პრეზიდენტის მხარეს არის საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია, ასევე არასამთავრობო სექტორი, მხოლოდ უმრავლესობა ამტკიცებს, რომ კანონი კარგია და დემოკრატიული. რით უპასუხებთ პრეზიდენტს და მის თანამოაზრეებს?***

— ჩვენ თუ დავიწყებთ იმაზე მსჯელობას, ჩვენ მიერ არაერთხელ დამტკიცებული კანონი რამდენად შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და რამდენად გამართულია სისტემურად და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, აქ ჩვენ საკმარისი არგუმენტი გვაქვს. აქ ჩვენ შინაარსზე არ ვკამათობთ.

***— აბა რაზეა კამათი?***

— ეს არის წმინდა პოლიტიკური საკითხი. სამწუხაროდ, უმცირესობამ და შემდგომ მოდას აყოლილმა არასამთავრობო სექტორმა, ამ თემის პოლიტიზირება მოახდინეს. პოლიტიზაციის საფუძველი გახლავთ ის, რომ უმცირესობა ერთგვარად ცდილობს, რომ საზოგადოებაში შექმნას ისეთი ილუზია, რომ, როგორც თვითონ წლების მანძილზე გვიყურადებდნენ, „ქართული ოცნებაც“ იგივეს აკეთებს.

***— ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ „ოცნება“ ყველას უსმენს.***

— ამ აზრს ამკვიდრებენ ჩვენი ოპონენტები, რეალობა კი სულ სხვაა! ისინი არსებული ტექნიკური საშუალების 100%-ს იყენებდნენ, ჩვენ ამ ტექნიკურ საშუალების მხოლოდ 2%-ს ვიყენებთ. არასამთავრობო სექტორი ამ პოლიტიკურ დღის წესრიგს აჰყვა, ეს ერთგვარ მოდად დამკვიდრდა.

***— პრეზიდენტზე რას იტყვით? ისიც მოდასაა აყოლილი?***

— ყველაზე მეტად სწორედ მანდ მწყდება გული, რომ პრეზიდენტს, როგორც ჩანს, არ სურს, რომ პასუხისმგებლობა გაიზიაროს და ჩვენ ადეკვატურად ვებრძოლოთ კრიმინალს.




***— ანუ კრიმინალთან საბრძოლველად გჭირდებათ ეს კანონი?***

— მე არ მინდა, რომ ვინმემ ეს კანონი დაინახოს, როგორც შესაძლებლობა და იარაღი კრიმინალთან საბრძოლველად. მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ევროპული სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი კანონი ასევე ძალიან მაღალ სტანდარტზე აყენებს ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს.

***— ამ კანონის მოწინააღმდეგეთათვის მიუღებელია ის, რომ მოსმენების გასაღები იყოს სუს-ის დაქვემდებარებაში. ეს რატომ არ გაიზიარეთ?***

— ჩვენ რომ გვეთქვა, ეს პრემიერს დავუქვემდებაროთო, მაშინ იტყოდნენ, რომ პრემიერი არის პოლიტიკური გუნდის ლიდერი და ისევ პოლიტიკური კონტროლის მექანიზმია ეს უწყება. ჩვენ რა სისტემაც უნდა შეგვეთავაზებინა, სამივე ეს სუბიექტი მომზადებული იყო, რომ წინააღმდეგობა დაეფიქსირებინა. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი სამსახური ექვემდებარება მთავრობას და უმრავლესობას აქვს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყოს.

***— სწორედ ეს არ მოსწონთ თქვენს ოპონენტებს?***

— გაუგებარია მათი პოზიცია. თუ ვინმეს უნდა შემოგვთავაზოს, რომ ნაციონალური მოძრაობის ოფისში დავდგათ ეს ტექნიკური საშუალება, ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში, ეს ხომ აბსურდია! მე მესმის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ენატრება მოსმენები, თვალთვალი, პირად ცხოვრებაში ჩარევა, თუმცა უმრავლესობა შეარჩევს იმ პირს, ვინც უნდა წარედგინოს პრემიერს დასამტკიცებლად.

***— ოპონენტების სურვილია, რომ ეს პირი არ იყოს უმრავლესობიდან?***

— ცხადია, ეს არის მათი ბრძოლის მიზანი. ხომ წარმოუდგენელია, რომ ეს ოპოზიციას მივცეთ, ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას! ბუნებრივად მივდივართ დასკვნამდე, რომ ეს ორგანო აუცილებლად უნდა იყოს დაქვემდებარებული იმ სამსახურს, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ამ სამსახურის ეფექტურად მუშაობას და ასევე დაიცავს იმ საიდუმლოებას, რაც დაკავშირებულია ამ სამსახურის ოპერატიულ საქმიანობასთან! ეს არის პოლიტიკური კამპანია ჩვენი ოპონენტების მხრიდან და ეს მიმართულია იქით, რომ მოხდეს უშიშროების სამსახურების დისკრედიტაცია. დღეს პოლიტიკურ ძალებს აწყობთ, რომ საკუთარი წარუმატებლობა ვიღაცას შეტენონ!

***— ძალოვან უწყებებზე საუბრობთ და ძალიან დიდია კრიტიკა ბოლო პერიოდში მათ საქმიანობასთან დაკავშირებით. გვესმის განცხადებები, რომ ნარკოტიკის და იარაღის ჩადებამ იმატა და რომ ხელისუფლება ასე უსწორდება ოპონენტებს. მოვისმინეთ პრეზიდენტის ქალიშვილის განცხადებებიც. რა ხდება, ბატონო ირაკლი, მართლა ასე უსწორდებით ოპონენტებს?***

— ამ საკითხმაც ერთგვარი კამპანიის სახე მიიღო. თუ რომელიმე სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან ან კონკრეტული სამართალდამცავის მხრიდან ადგილი ექნება ასეთ ფაქტს, ამაზე პირველ რიგში ჩვენ მოვახდენთ ძალიან მკაცრ პოლიტიკურ რეაგირებას. მაგრამ ესეც ერთგვარ მოდად დამკვიდრდა, სწორედ იმ მიზნით, რომ პარალელები გაევლოს — წინა ხელისუფლება ამას აკეთებდა და ესენიც აკეთებენ.

ჩვენმა ხელისუფლებამ უზრუნველყო მეტი დემოკრატია და ქვეყანა გაათავისუფლა პოლიტიკური მმართველობისგან. ოპოზიციამ პოლიცია სამოქალაქო საზოგადოების მიზანმიმართული თავდასხმის ობიექტად აქცია.

# თორნიკე შარაშენიძე: „მოსმენები აუცილებელია, მაგრამ არა — პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***— მოსმენების კანონთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ერთ მხარეს უმრავლესობაა, რომელსაც მიაჩნია, რომ კარგი კანონი მიიღო, ხოლო მეორე მხარეს — პრეზიდენტი, ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი, რომელსაც აღნიშნული კანონი არ მოსწონს. როგორია თქვენი პოზიცია?***

— უმრავლესობა რომ ამ ვეტოს დაძლევს, ეს მარგველაშვილმა ჩვენზე უკეთ იცის, მაგრამ მაინც დაადო. მე წინააღმდეგი ვარ მოსმენების სრულიად აკრძალვის, რადგან ჩვენს ქვეყანას უამრავი საფრთხე უდგას, უამრავი გამოწვევა აქვს.

***— მაშინ რაშია პრობლემა, რას აპროტესტებენ ხელისუფლების ოპონენტები?***

— პრობლემა ისაა, რომ ეს შესაძლოა გამოყენებულ იქნას პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, თორემ ქვეყანაში, რომელსაც ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და რომელიც სავსეა რუსული აგენტურით, მოსმენები ნამდვილად საჭიროა! ცუდი ის არის, რომ ამას ხელისუფლება პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს და ამის მაგალითები, სამწუხაროდ, არსებობს.

***— ანუ ოქროს შუალედის დაცვაა საჭირო. ეს რამდენად შესაძლებელია? როგორ უნდა დაიცვას ხელისუფლებამ ეს შუალედი?***



— საჭიროა უწყების დეპოლიტიზება. სუს-ის დეპოლიტიზებაზეა საუბარი. ის ფაქტი, რომ სუსი ბოლოს და ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოაშორეს და ფორმალურად მაინც გაიყო, ნამდვილად კარგია. მონსტრად იყო ქცეული შსს. ახლა კი საჭიროა დეპოლიტიზება შინაარსობრივად და არა — მხოლოდ ფორმალურად.

***— პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე რას იტყვით? მისმა ამდენმა ვეტომ საზოგადოების თვალში ვეტოს პრინციპი გააუფასურა?***

— პრეზიდენტმა რამდენიმე ხნის წინ თქვა, რომ მისმა ყველა ვეტომ პრინციპში გაამართლა. შენიშვნების ნაწილი გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლომ და ნაწილი თავად „ოცნებამ“ გაიზიარა. თუნდაც იგივე ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, ასე რომ, პრეზიდენტს ამ კუთხით სათქმელი აქვს და მისი ვეტოები ნაწილობრივ გამართლებულია.

***— თუმცა უმრავლესობაც გაჯიუტდა და აღარ უთმობს პრეზიდენტს.***

— მე მეეჭვება, რომ უმრავლესობა თავისი ნებით ჯიუტობდეს, გასაგებია, ვის პოზიციასაც გამოხატავენ. უმრავლესობის სიჯიუტესა და პრინციპობაზე საუბარი, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

***— საით მიანიშნებთ, რომ ეს ივანიშვილის პოზიციაა?***

— რა თქმა უნდა! აბა „ოცნების“ პრინციპულობა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები უნახავს ვინმეს?! დღეს სახელისუფლებო გუნდი ძალიან რთულ და წამგებიან პოზიციაშია.

***— რა თვალსაზრისით?***

— სერიოზულად იმატა საზოგადოებაში უკმაყოფილებამ. „ოცნებას“ ჩამოშორდა რამდენიმე ძლიერი პროდასავლური პოლიტიკური ფიგურა. ეს პოლიტიკური ფიგურები არჩევნებში დამოუკიდებლად წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, მაგრამ „ოცნების“ სახეები იყვნენ. ამ სახეებს მეტ-ნაკლებად ჰქონდათ ფასეულობები იმ მხრივ, რომ მათ ჰყავდათ გვერდით კარგი კადრები. როცა ისინი ჩამოშორდნენ, „ოცნებას“ კადრების მხრივ კიდევ უფრო გაუჭირდა.

***— თქვენ საუბრობთ რესპუბლიკელებზე?***

— რესპუბლიკელებზე და ალასანიას პარტიაზე. მიუხედავად იმისა, რომ



მათ არჩევნებში მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდათ, მათ საკადრო რესურსი ჰქონდათ. მართალია, მეტი ხმა მიიღეს, როდესაც ისინი მოიშორეს თავიდან, მაგრამ საკადრო პოლიტიკაში გაუჭირდათ. მეორე და საკმაოდ სერიოზული პრობლემა ის არის „ოცნებისთვის“, რომ ყველაფერი უნდა შეუთანხმონ ერთ ადამიანს. ყველას ეშინია დამოუკიდებელი, მკვეთრი ნაბიჯის გადადგმის, თუნდაც ეს ნაბიჯი კარგი იყოს. ეს სერიოზულ პრობლემებს აჩენს.

***— გაუჭირდება „ოცნებას“ ადგილობრივ არჩევნებში?***

— ადგილობრივ არჩევნებში სწორედ რომ არ გაუჭირდება, იმიტომ, რომ ოპოზიცია დაქუცმაცებულია. ზოგი ორ ნაწილად დაიშალა და ზოგიც — ოთხ ნაწილად. მეტოქეებიც არ ჰყავთ. ეს კიდევ ერთი უბედურებაა, რომ ცუდ დღეშია სახელისუფლო გუნდი, მაგრამ კიდევ უარეს დღეშია ოპოზიცია.

***— რას ფიქრობთ კალაძის მერობაზე? კულუარებში ეს საკითხი აქტიურად განიხილება. დააყენებენ მის კანდიდატურას?***

— დააყენებენ კი არა, დააყენებს თუ არა ერთი კაცი. ამ ერთ კაცს კი შესაძლოა სულაც არ მოსწონდეს, კალაძე რომ ძლიერი და დამოუკიდებელი ფიგურაა. კალაძემ თავისით მიაღწია ძალიან ბევრ რამეს. სანამ პოლიტიკაში მოიყვანდა მას ივანიშვილი, ის უკვე ჩამოყალიბებული და ძლიერი ფიგურა იყო, განსხვავებით იგივე ზვიად კვაჭანტირაძისგან. ამიტომ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ძალიან ფრთხილად ეკიდება ასეთ საკითხებს, შესაძლოა, სულაც არ აწყობდეს კალაძის მერობა.

***— არ უყვარს ძლიერი ფიგურები?***

— არა. მისთვის ნარმანია უფრო მისაღები ფიგურაა. სხვა საქმეა, ნარმანია მოიგებს თუ არა მეორეჯერ არჩევნებს თბილისში. ნარმანია თბილისმა თავის დროზე ინერციით აირჩია, რადგან „ოცნების“ კანდიდატი იყო. იმის შემდეგ „ოცნებამ“ სერიოზულად დაკარგა თბილისში მხარდაჭერა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვამ შეიძინა, მაგრამ ნარმანიას რომ აღარ აირჩევს თბილისი, ეს ფაქტია. თუ მოხდა და მეორეჯერ აირჩია თბილისმა ნარმანია, ძალიან ბევრს ვიცინებ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დეპუტატებმა იციან, რომ მათ უსმენენ“

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლების წარმომადგენლები მეუბნებიან, ტელეფონზე ვერ გეტყვი, პირადად გნახავ და მერე მოგიყვები“

შორენა მარსაგიშვილი

იჭრება თუ არა პრეზიდენტი პარლამენტის საქმიანობაში, რა არის „ქართული ოცნების“ მომავალი, რას ითხოვენ მისგან ხელისუფლების წარმომადგენლები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ პრეზიდენტი თავისი მითითებებით პარლამენტის საქმიანობაში ერევა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ბრალდებაზე?***

– ასეთ განცხადებებზე კომენტარის გაკეთებაც კი უკვე შეუძლებელია. მარგველაშვილის და პარლამენტის დაპირისპირება ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის გარიჟრაჟიდან იღებს სათავეს და ეს უკვე აღარავის უკვირს. ერთადერთი, რისი თქმაც ამაზე შემიძლია, ის არის, რომ ხელისუფლება კომპლექსებით დატვირთული ადამიანივით იქცევა, რომელსაც ერთადერთი ამოცანა აქვს – როგორმე თავი დაიმკვიდროს. „ოცნების“ მხრიდან პრეზიდენტზე უსაგნო შეტევები სწორედ ამის გამოვლინებაა.

***– ამ ლოგიკით, შესაძლოა, პრეზიდენტი თავისი ვეტოებით ცდილობს თავის დამკვიდრებას.***

– პრეზიდენტის ვეტოების ისტორიას თუ გადავხედავთ, სხვა რამეს დავინახავთ. ამ ვეტოებიდან გამომდინარე ხელისუფლებას აქამდე უნდა ესწავლა ჭკუა. ჭკუის სწავლების ნაცვლად ისინი ფეხების ბაკუნს აგრძელებენ. მათი ფეხების ბაკუნი შემდეგ სხვადასხვა სახის გართულებებს იძენს.

გასულ წელს პრეზიდენტმა ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ვეტო დაადო, ახლა „ოცნება“ აღიარებს, რომ ეს ვეტო მართებული იყო და თავად ცდილობს შეცდომის გამოსწორებას.

რაც შეეხება ეკა ბესელიას განცხადებას, რომ პრეზიდენტი მათ კომპეტენციაში იჭრება, ასეთ კომენტარს გავაკეთებ, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, ეტყობა, უნდა, რომ მას უსმენდნენ. ეს მისი არჩევანია.

***– ყველა კონფლიქტს აქვს დასაწყისი და დასასრული. სადამდე შეიძლება გაგრძელდეს „ოცნების“ და მარგველაშვილის ასეთი დამოკიდებულება, სანამ ეს უკანასკნელი თავის საპრეზიდენტო ვადას არ ამოწურავს?***

– ეს დაპირისპირება მარგველაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს. სანამ ასეთი დაკვეთა ექნებათ, კონფლიქტი მანამდე გაგრძელდება. სამწუხაროდ, ადამიანების ბუნებაა ასეთი. არადა პრეზიდენტის გადაწყვეტილება ამათთვის არის პირველ რიგში სასარგებლო.

მარგველაშვილი თავისი ვეტოთი „ოცნებას“ ეუბნება, არ მინდა, თქვენ ვინმე გისმენდეთო. ამით პირველ რიგში დეპუტატებს იცავს.

***– დეპუტატები ამას ვერ ხვდებიან?***

– ხვდებიან, მაგრამ ეტყობა შეჩვეულები არიან, რომ სატელეფონო საუბრების დროს ვიღაც მესამეს ესაუბრებიან მუდმივად. სავარაუდოდ, ეს სიამოვნებთ და ყველაფერს აკეთებენ, რომ მუდმივად ვიღაცამ უსმინოს.

დეპუტატებს კონფიდენციალურად თუ დაელაპარაკებით, ისინი გეტყვიან, რომ ხდება მათი მოსმენა.

***– ალბათ ამით არის განპირობებული, რომ ვაიბერით ხშირად სარგებლობენ.***

– ამიტომ ეტანებიან სწორედ ვაიბერს. მეტსაც გეტყვით, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩემთან რაიმე თემაზე საუბარი უნდათ, ყოველთვის მეუბნებიან, ტელეფონზე ვერ გეტყვი, პირადად რომ განახავ, მერე მოგიყვებიო.

ამ ადამიანებმა იციან, რომ უსმენენ. პრეზიდენტი მათ ეუბნება, დატოვეთ ისეთი კანონი, რომ მოსმენა შეუძლებელი იყოს. ესენი გაიძახიან, ჩვენ გვინდა, რომ მოგვისმინონ, ეს ჩვენი უფლებაა. ასეთ ხალხთან საუბარი ძალიან ძნელია. ეს, როგორც ჩანს, ნამდვილად მათი არჩევანია და ვულოცავ.

***– მათი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ეს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას სჭირდება.***

– ეს სრულიად აბსურდული არგუმენტია. რამდენიმე საუკუნის წინ ერთმა ამერიკელმა თქვა, ადამიანი, რომელიც უსაფრთხოების სახელით უარს აცხადებს თავისუფლებაზე, არც თავისუფლების ღირსია და არც უსაფრთხოების. ეს გამონათქვამი ჩვენს დეპუტატებზეა ზედგამოჭრილი.

***– ზემოთ თქვენ ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გაიხსენეთ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა აბაშიშვილმა განაცხადა, რომ მარგველაშვილი ეროვნული ბანკის შესახებ კანონს ხელს მოაწერს, მაგრამ იმ დეპუტატების დასჯა მოითხოვა, ვინც თავის დროზე ასეთი მცდარი გადაწყვეტილება მიიღო.***

– დასჯას პირდაპირი მნიშვნელობით არ გულისხმობდა. აქ უფრო პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზეა საუბარი. პოლიტიკური პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დადგეს.



***– თქვენი აზრით, აიღებს ვინმე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას?***

– ამის იმედი არავის აქვს. ჩვენ საქმე გვაქვს იმ ადამიანებთან, რომლებიც არაფერზე იღებენ პასუხისმგებლობას. ჩვენ ისეთი ხელისუფლება მივიღეთ, რომელსაც არც გადაწყვეტილების მიღება შეუძლია და არც – პასუხისმგებლობის აღება.

# „მოსმენების კანონი რუსეთის დუმის დეპუტატ იაროვაიას კანონიდან არის გადმოწერილი“

## კონსტანტინე გამსახურდია: „ხელისუფლებას რეალური პროდასავლური ალტერნატივა არ ჰყავს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას მესამე პოლიტიკური ცენტრი.

***– ბატონო კონსტანტინე, ექსპერტები ამბობენ, რომ მესამე პოლიტიკური ცენტრის შეიქმნა გარდაუვალია. რამდენად მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი გახდეს მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის ინიციატორი?***

– მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ მესამე პოლიტიკური ცენტრი შეიქმნას, მაგრამ არ მგონია, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის გარშემო შეიქმნას ეს ცენტრი. ფაქტია და ვხედავთ, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის გარშემო ხდება ერთგვარი თავმოყრა არასამთავრობოების, პოლიტიკური ძალების და ა.შ. თუმცა, ძალიან საეჭვოა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მარგველაშვილი დიდი პოლიტიკური პროცესების აქტორი გახდეს.

მესამე პოლიტიკური ცენტრი აუცილებლად უნდა შეიქმნას, მაგრამ ეს ცენტრი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალის კოპირება. ის აუცილებლად უნდა იყოს დიალექტიკურ დაპირისპირებაში ორივე არსებულ ძალასთან, ვგულისხმობ ყოფილ ხელისუფლებასა და მოქმედ ხელისუფლებას. ასევე, არც ერთ შემთხვევაში ის არ უნდა იყოს მართული რომელიმე გარეშე ძალიდან.

***– მთავარი ფიგურანტი ვინ უნდა იყოს, ყოფილი პოლიტიკოსები თუ შეიძლება ახალი პოლიტიკოსები გამოჩნდნენ?***

– ახალი პოლიტიკოსები უნდა მოვიდნენ, თუმცა, ჯერ არ ჩანან. ადამიანები, რომლებიც ძველ სახელისუფლო ძალასთან ან ახალ სახელისუფლო ძალასთან ასოცირდებიან, რთული წარმოსადგენია, რომ ამ ახალი პოლიტიკური ცენტრის მესვეურები იყვნენ და ახალ იდეებზე, ახალ პოლიტიკაზე, მართვის ახალ მოდელზე ისაუბრონ. თუ ასე მოხდა, მაშინ ძალიან გაუჭირდებათ.

***– რატომ გაუჭირდებათ?***

– პიარის თვალსაზრისით გაუჭირდებათ.

***– თუმცა, გარკვეულ გადაჯგუფებაზე უკვე არის საუბარი.***

– გასაგებია და ამიტომ ვამბობ, რომ გაუჭირდებათ. მაგალითად, პრეზიდენტ მარგველაშვილსაც გაუჭირდება, რაოდენ კარგად, დადებითადაც უნდა უყურებდეს ვიღაც.

***– რატომ გაუჭირდება?***

– იმიტომ, რომ ის არ არის ამდენად პოპულარული, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ქულები ჩაიწერა, რადგან რაღაცნაირი დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ივანიშვილს.

***– არაერთგზის გვინახავს, თუ როგორ გამოეყოფიან ხოლმე ხელისუფლებას მისივე წევრები. ელოდებით მსგავს პროცესს?***

– სრულიად შესაძლებელია, რომ მართლაც წავიდეს ასეთი პროცესი. ამის არაერთი მაგალითი ყოფილა ჩვენს უახლეს ისტორიაში. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ამ ხელისუფლებაში ეს უფრო რთული იქნება ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით, მაგრამ მარგველაშვილმა კარგი მაგალითი მისცა მათ. სააკაშვილის ბუნებიდან გამომდინარე, ეს ბევრად უფრო ადვილი პროცესი იყო ყოფილ ხელისუფლებაში. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ როგორ განუდგნენ მას უახლოესი გარემოცვიდან ადამიანები.



***– ადგილობრივი არჩევნები ერთგვარი რეპეტიცია შეიძლება იყოს დიდი არჩევნების წინ?***

– ეს ყოველთვის ასეა. სწორედ ადგილობრივი არჩევნები ბევრ რამეს გამოავლენს ხოლმე. თუმცა, ჯერ პოლიტიკური ძალების გამოკვეთა და დალაგება მაინც ნაადრევი მგონია, ვინაიდან თავად მათში არ არის ასეთი ინტერესი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს. ჯერ მაინც ხელისუფლება ძლიერია. პროტესტს არ აქვს ის დატვირთვა, რომელიც ოპოზიციის არსენალში ყოველთვის არის.

რევოლუციური სცენარი ყოველთვის სახიფათოა გარეშე ფაქტორის გათვალისწინებით. ნებისმიერ ასეთ მოქმედებას რუსეთისგან უმალ მოჰყვება რეაქცია. სულ არ გამიკვირდება, რომ საქართველო შუაზე გადაჭრან. ამიტომ ხელისუფლებისთვის ეს არის კოზირი.

***– რატომ რევოლუცია, თუ ოპოზიცია ძლიერია?***

– საქმე ის არის, რომ დღეს ოპოზიცია სუსტია, ხელისუფლება კი – ძლიერი. მას ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა და სრული ძალაუფლება. ალბათ ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ამ სიტუაციაში უნდა იყოს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება. თუმცა, არ მგონია, რომ ამ მიმართულებით რამე დათმოს ხელისუფლებამ. არ მგონია, რომ მან იმიტომ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ახლა ოპოზიციას დაუთმოს რამე.

***– არ ფიქრობთ, რომ თავად ოპოზიციაში არის პრობლემა?***

– ყოველთვის იყო ოპოზიციაში პრობლემა და ეს ხშირად განაპირობებდა ხელისუფლების თვითნებობას და თავხედობასაც. დღეს, როდესაც რეალურად ქვეყანაში პროდასავლური ალტერნატივა არ არის, და როდესაც მთავარი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობაა, ხელისუფლება მას, როცა უნდა, მაშინ ჩაარტყამს თავში და წამოაძახებს ცნობილ მოვლენებს.

მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანაში რეალური პროდასავლური ალტერნატივა არ არის. ხელისუფლება კი გვეუბნება, რომ ის არის პროდასავლური ძალა, მაგრამ მოსმენების კანონი, რომელიც პირდაპირ დუმის დეპუტატ იაროვაიას კანონიდან არის გადმოწერილი, ამის თქმის შესაძლებლობას არ მაძლევს. ამ კანონით მათ შეუძლიათ ყველას და ყველაფერს მოუსმინონ. ეს არ არის ევროპული კანონი. სამწუხაროა, არ მეგონა, რომ კიდევ მოგვიწევდა იმაზე საუბარი, რომ ასეთი კანონებით ევროპას, დასავლეთს კი არ ვუახლოვდებით, პირიქით, ვშორდებით.

# სამხედრო ბაზაზე დაშავებული ჯარისკაცი ბადრი შავაძე გარდაიცვალა

უფლისციხის სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც განწესში ყოფნის დროს, გასროლის შედეგად მძიმე დაზიანება მიიღო, გარდაიცვალა.

ამის შესახებ „ნიუპოსტს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, 19 წლის სამხედრო მოსამსახურემ მძიმე დაზიანება 28 თებერვალს განწესში ყოფნის დროს, გასროლის შედეგად მიიღო.



– თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედო ჰოსპიტალში ხანგრძლივი მკურნალობისა და მედიკოსების ძალისხმევის მიუხედავად, უფლისციხის სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურე, 1998 წელს დაბადებული ბადრი შავაძე გარდაიცვალა.

შავაძე, ა/წ 28 თებერვალს განწესში ყოფნის დროს, გასროლის შედეგად მიღებული მძიმე დაზიანებით, გორის სამხედო ჰოსპიტალში დაუყოვნებლივ მოათავსეს.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას გულისხმობს. გამოძიებას თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უთანაგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს. მინისტრის გადაწყვეტილებით, უწყება სამხედრო მოსამსახურის ოჯახს, ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს, – აცხადებენ უწყებაში.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დაპირისპირება პარლამენტში

## ეკა ბესელიამ გიორგი აბაშიშვილს ბეცი, უვიცი და თავხედი უწოდა

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 22 მარტს, დიდი დღე იყო. საკანონმდებლო ორგანომ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის დადებული ვეტო დაძლია. თავდაპირველად კენჭისყრაზე პრეზიდენტის პროექტი დადგა, რომელსაც 22 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო წინააღმდეგ ხმა პარლამენტის 86 წევრმა მისცა.**





ამის შემდეგ პარლამენტის მიერ მიღებულ იმ კანონპროექტს ეყარა კენჭი, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა და ვეტო დაადო. უმრავლესობამ აღნიშნულ პროექტს 93 ხმით დაუჭირა მხარი.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილებით ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში ჩამოყალიბდება. ფარულ მოსმენა-მიყურადების ექსკლუზიური უფლებამოსილება სწორედ აღნიშნულ სააგენტოს ექნება.

ვეტოს ძლევამდე კი პარლამენტში ამ თემაზე დიდი ალიაქოთი იყო. კანონმდებლებს ერთმანეთისთვის კომპლიმენტები არ დაუკლიათ. ყველაზე მრისხანე და შეუვალი ეკა ბესელია იყო. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ერთდროულად დაგმო კანდელაკი, დოლიძე და აბაშიშვილი.

გულხელდაკრეფილი არც მეორე მხარე დარჩენილა. მათმა წივილკივილმა პატრიოტთა ალიანსის წევრებს ნერვები დააწიწკნა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის კინკლაობა უნდა დასრულდეს.

მისი აზრით, უკვე სამარცხვინო და კომიკური გახდა პარლამენტის და პრეზიდენტის ურთიერთობა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ მეოცნეებეები ხალხის ინტერესების იგნორირებაში დაადანაშაულა და უსიამოვნო ამბები უწინასწარმეტყველა. მისი თქმით, შესაძლოა მალე დღევანდელი დეპუტატების შვილებსაც ჩაუდოს ვინმემ ჯიბეში ნარკოტიკი.

— არ შემიძლია იმ რეპრესიულ პოლიტიკაზე არ ვისაუბრო, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უკანასკნელ პერიოდში ეწევა. რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ შსს კანონმორჩილია და ის არ უდებს არც ნარკოტიკს და არც იარაღს, ამის კონკრეტული ფაქტები არსებობს, — აღნიშნა მელიამ და დეპუტატებს რამდენიმე მაგალითი დაუსახელა.

ნარკოტიკების ჩადებაზე განცხადება ამ დღეებში პრეზიდენტის ქალიშვილმა ანა მარგველაშვილმაც გააკეთა და თქვა, რომ მის ახლობელს ჩაუდეს ნარკოტიკი.

— აქ საუბარი მხოლოდ პრეზიდენტის ოჯახზე არაა, თქვენც არ იქნე-



ბით ყოველთვის დეპუტატები და თქვენი ოჯახის წევრებსაც მიადგებიან. ამიტომ, ჯობს, თქვენი რეალური საქმით დაკავდეთ და მთავრობა აკონტროლოთ. თქვენ აკავებთ ნარკომომხმარებლებს, რომელთაც ნარკოტიკულ საშუალებებს უდებთ, მაგრამ საინტერესოა, რამდენი ნარკორეალიზატორი დააკავეთ? არც ერთი, — აღნიშნა მელიამ.

დეპუტატმა „ქართულ ოცნებას" არჩევნებში დამარცხებაც უწინასწარმეტყველა.

— თქვენ აქ, დარბაზში ხართ უმრავლესობაში, ასე გააგრძელეთ და არჩევნებზე ვნახავთ, ვინ იქნება უმრავლესობით, — განაცხადა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ნაციონალებისგან გამოყოფილმა „ევროპულმა საქართველომ" კი ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულა.

მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი დადგეს საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგში.

— ბოლო დღეებში რუსეთის ფედერაციამ განახორციელა რამდენიმე მტრული ნაბიჯი. მილიტარისტული ნაბიჯები გადაიდგა ოკუპირებულ რეგიონებში და შემაშფოთებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხი დამდგარიყო საერთაშორისო პოლიტიკურ დღის წესრიგში.

პრემიერ-მინისტრს არ აღმოაჩნდა დრო, რომ ჩასულიყო რომელიმე მნიშვნელოვან დედაქალაქში მაინც და არ დაურეკავს არც ერთ მსოფლიო ლიდერთან, რომ მომხდარიყო ყურადღების მობილიზება ამ საკითხების ირგვლივ. ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის პრეზიდენტი და გერმანიის კანცლერი, მათ ისაუბრეს უკრაინაზე და არაფერი უთქვამთ საქართველოსთან დაკავშირებით, რადგან ამისთვის არაფერი გაუკეთებია საქართველოს მთავრობას, მას ამისთვის არ ჰქონდა დრო. სამაგიეროდ, საქართველოს მთავრობას ჰქონდა დრო იმისთვის, რომ როდესაც სტრასბურის სასამართლოში იმართებოდა რუსთავი 2-ის საქმის განხილვა და სტრასბურმა ნაკუწებად აქცია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, იქ სწრაფად მიევლინა საგარეო საქმეთა მინისტრი, — აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

ოპოზიციონერი კოლეგების განცხადებებმა ყველაზე მეტად პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია გააღიზიანა. ის ისეთი გაცხარებული იყო, რომ დეპუტატებთან ერთად პრეზიდენტი და მისი ამალაც შემოეკრიტიკა.

ბესელიას აზრით, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები სხვა არაფერია თუ არა პარლამენტის საქმიანობაში შეჭრა, რადგან საკანონმდებლო ორგანოს ქმედებებს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს.

მისი რისხვა თავს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, გიორგი აბაშიშვილსაც დაატყდა. ბესელიამ მას ბეცი, უვიცი და თავხედი უწოდა. გიორგი კანდელაკს კი მოსთხოვა, გამოდი და კვირიკაშვილს ბოდიში მოუხადეო.

— ცოტა გააკონტროლეთ საკუთარი განცხადებები, ეს არის ჩემი ძალიან პრინციპული მოთხოვნა, როგორც ამ პარლამენტის ერთი წევრის მხრიდან. ეს ეხება მათ შორის იმ განცხადებებს, რომლებიც აქ გაკეთდა პრემიერ-მინისტრის მიმართ და ბატონ კანდელაკსაც მინდა მივმართო, ბოდიში მოიხადოს ასეთი პერსონალური შეფასებისთვის, რომელიც მან გააკეთა დღეს დილით პრემიერი კვირიკაშვილის მისამართით. ასეთი პერსონალური შეურაცხყოფები სრულიად დაუშვებელია, — განაცხადა გაცხარებული ეკა ბესელიამ.

## ხათუნა გოგორიშვილი: „მარგველაშვილის კრიტიკაზე ხსნილია"

მას ნერვები „ევროპული საქართველოს" კიდევ ერთმა ლიდერმა ხათუნა გოგორიშვილმა მოუშალა. მან პერსონალურად მიმართა კომიტეტის თავმჯდომარეს და უთხრა, რომ მარგველაშვილის კრიტიკაზე ხსნილია, რადგანაც ამაზე მწვანეა ანთებული ბიძინა ივანიშვილისგან.

— მეც ნამდვილად მივესალმებოდი, ქალბატონო ეკა, ეს რომ არ იყოს შერჩევითი პრინციპულობა და თქვენ ყველგან, ყოველთვის იცავდეთ პარლამენტის პრესტიჟს ასეთივე პრინციპულობით. თქვენს გამოსვლას სულისკვეთებაში ნამდვილად მივესალმებოდი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ პარლამენტი, კონსტიტუცია და კონსტიტუციის 48-ე მუხლი თქვენ გახსენდებათ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება პრეზიდენტ მარგველაშვილს. ერთი მიზეზი აქვს ამას, რომ ხსნილია მარგველაშვილის კრიტიკაზე, მწვანე გაქვთ ანთებული ბიძინა ივანიშვილისგან და შეიძლება, რომ მარგველაშვილი გააკრიტიკოთ, — მიმართა გოგორიშვილმა ბესელიას.

◆ ◆ ◆

საპარლამენტო უმრავლესობა ვეტოს მორიგი დაძლევით ფრიად კმაყოფილი ჩანდა. საინტერესოა, მოუწევთ თუ არა ვეტოდაძლეული კანონის საკუთარი ხელით ჩასწორება, როგორც ეს ეროვნული ბანკთან მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში მოხდა.

## ნუგზარ წიკლაური: „ბოლნისის გავლით რუსულ სატვირთოებს მძიმე ტექნიკა გადაჰქონდათ"

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, გუშინ, 22 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე, ბოლნისის რაიონის გავლით რუსული სანომრე ნიშნების მქონე სატვირთო მანქანებით მძიმე ტექნიკა გადაჰქონდათ.

განცხადება ენმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა გააკეთა. ოპოზიცია ხელისუფლებისგან რეაგირებას ითხოვს.

— ბოლნისის რაიონში რუსული სანომრე ნიშნებით სატვირთო ავტომობილები გადაადგილდებოდნენ, რომლებსაც შეფუთული და უცხო თვალისთვის შენიღბული ტვირთი გადაჰქონდათ. ვიზუალური დაკვირვებით და დიდი ალბათობით, ეს იყო მძიმე მუხლუხოიანი ტექნიკა. სავარაუდოდ, სამხედრო დანიშნულების.



პირველ რიგში, გვინდა მივმართოთ პრეზიდენტს და ხელისუფლებას, სასწრაფოდ გამოიკვლიონ, თუ რა დანიშნულების იყო ტვირთი. უდიდესი ალბათობით, ეს იყოსამხედრო ტექნიკა. უშიშროების საბჭოს სხდომაზე აუცილებელია ამ საკითხის დაყენება. ტვირთი სავარაუდოდ, სომხეთის საზღვრისკენ გადაადგილდებოდა, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

# სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



22 მარტს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ზაზა სოფრომაძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ალექსი ხოროშვილმა, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, ლიბერთი ბანკი, 1 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 50-ზე მეტ მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრულ ანაზღაურებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ბანკმა ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური სახსრები გაიღო.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 322 ბავშვი ცხოვრობს, მათ შორის 25 შშმ პირია. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში ყოველდღიურად მომსახურებას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 157-მდე ბავშვი იღებს.

ბავშვები საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, ასევე იღებენ ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა ფსიქოლოგიური დახმარება, ფორმალურ განათლებაში ხელშეწყობა, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა, პროფესიული და სახელობო უნარჩვევების განვითარება.

— მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ლიბერთი ბანკს მხარდაჭერისთვის! ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობით შევძელით 53 მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველყოფა. გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები კი საშუალებას მოგვცემს, ვიზრუნოთ ამ ცენტრების ბენეფიციარების სხვა პრობლემების და საჭიროებების მოგვარებაზე, — აღნიშნა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ზაზა სოფრომაძემ.

— ლიბერთი ბანკი, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მუდამ ცდილობს იზრუნოს დაუცველ ბენეფიციარებზე.

მოხარული ვარ, რომ 2017 წელსაც გვაქვს შესაძლებლობა დავაფინანსოთ 50-ზე მეტი მცირე საოჯახო ტიპის სახლისა და მიუსაფართა თავშესაფრის კომუნალური გადასახადები, — აღნიშნა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ალექსი ხოროშვილმა.

# რომან გოცირიძე: „დადგეს ხალხი პარლამენტთან და დეპუტატებს ერთ ადგილას ჭინჭრები ურტყას“

## კანონმდებლების დასჯას პრეზიდენტის ადმინისტრაციაც ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**წინა მოწვევის პარლამენტმა დიდი ზარ-ზეიმით ჩამოართვა ეროვნულ ბანკს ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პრეზიდენტმა ვეტო დაადო. კანონმდებლებმა ვეტო დაძლიეს, რის შემდეგაც კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. 2015 წლის 12 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონირება შეაჩერა.**

ახლა პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას შეცდომად მიიჩნევს და ეროვნულ ბანკს წართმეულ ფუნქციას უბრუნებს. ამ ფუნქციის დასაბრუნებლად მარტო მათი მზაობა არაა საკმარისი, კანონს ძალაში შესასვლელად ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს.

გიორგი მარგველაშვილი ეროვნული ბანკისთვის ფინანსური ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევის წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, უპრობლემოდ დათანხმდა კანონზე ხელის მოწერას. ოღონდ პირობები მასაც აქვს. კერძოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოთხოვნით იმ დეპუტატების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც 2015 წელს ეროვნული ბანკის შესახებ პრეზიდენტის ვეტოდადებული კანონი დაამტკიცა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, გიორგი აბაშიშვილის ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოს მიერ ახლად დამტკიცებული კანონი, რომელიც ეროვნულ ბანკს ფინანსური ზედამხედველობის ფუნქციას უბრუნებს, ზუსტად იმეორებს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს.

– 21 მარტს პარლამენტიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოვიდა კანონი, რომელიც შეეხება ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობას, ამ კანონით ეროვნულ ბანკს უბრუნდება საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია.

მოგეხსენებათ, რომ 1.5 წლის წინ, კოალიციურმა უმრავლესობამ ეროვნულ ბანკს ჩამოართვა ეს ფუნქცია და საბანკო სისტემა დააყენა ძალიან სერიოზული რისკის წინაშე. ჩამოართვა ფუნქცია და ეროვნული ბანკი ორ ნაწილად გაყო, მიუხედავად არასამთავრობო სექტორის, საბანკო სექტორის, ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეროვნული ბანკის წინააღმდეგობისა. ასევე, ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდიოდა ასოცირების შეთანხმებასთან.

პრეზიდენტმა, ცხადია, არ დაუშვა ეროვნული ბანკის ორად გაყოფა, ვეტო დაადო ამ კანონპროექტს, მაგრამ კოალიციურმა უმრავლესობამ დიდი ენთუზიაზმით მოახდინა ამ ვეტოს დაძლევა. თუმცა, მყისიერად ეს კანონი გააჩერა საკონსტიტუციო სასამართლომ, ხოლო, უკვე წელიწადნახევრის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები და ეროვნული ბანკის შესახებ კანონი ახლიდან შეიტანა პარლამენტში. მე მაქვს პრეზიდენტის მოტივირებული ვეტოცა და საქართველოს მთავრობის ახლანდელი ვერსიაც – ეს პრაქტიკულად იდენტურია, ანუ საქართველოს მთავრობამ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები წელიწად-ნახევრის შემდეგ, – განაცხადა პრესკონფერენციაზე გიორგი აბაშიშვილმა.

მისი განცხადებით, წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო ქვეყანას ზარალი მიადგა.



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი მიიჩნევს, რომ ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება და ის იმ დეპუტატების დასჯას ითხოვს, ვინც მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის ორად გაყოფას.

– ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, როდესაც პარლამენტმა მიიღო ასეთი პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება, ქვეყანას მიადგა როგორც ფინანსური ზიანი, ისე რეპუტაციული ზიანი. შესაბამისად, საჭიროა პოლიტიკური პასუხისმგებლობა ყველა იმ დეპუტატის, რომლებმაც მაშინ მიიღეს მონაწილეობა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევაში და მათი ერთი ნაწილი ახლაც წარმოდგენილია დღევანდელ პარლამენტში, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

გიორგი აბაშიშვილმა არ იცის თუ როგორ უნდა მოხდეს ამ დეპუტატების დასჯა. ამ საკითხზე საინტერესო იდეა აქვს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს რომან გოცირიძეს.

მისი თქმით, არ იქნებოდა ცუდი თუ ხალხი დეპუტატებს სირცხვილის დერეფნებს მოუწყობდა და ჭინჭრით დასუსხავდა. დეპუტატის განმარტებით, ამის გაკეთება ყველაზე უპრიანი ახლაა, როცა პარლამენტი მოსმენების კანონზე ვეტოს დასაძლევად ემზადება.

– მას შემდეგ, რაც ამ უმრავლესობის პარლამენტმა თავისივე მიღებული კანონი უარყო და ეროვნულ ბანკს დაუბრუნა ზედამხედველობის სამსახური, ბუნებრივია, ამაზე ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი. უნდა აღიარონ, რომ ეს იყო შეცდომა, რომ დაიკარგა დრო, დაიკარგა ფული, რომ გააუფასურეს ლარი, ვინაიდან სწორედ ლარის გაუფასურების პერიოდში მიდიოდა საშინელი შეტევა ეროვნულ ბანკზე. ამით ფაქტობრივად ადამიანების გაღარიბებას შეუწყვეს ხელი. ამიტომ პოლიტიკოსების პასუხისმგებლობა არის პოლიტიკური. ხალხმა არ უნდა აირჩიოს ეს ხელისუფლება მეორეჯერ. არსებობს ასევე მორალური პასუხისმგებლობაც.

უნდა ვუთხრათ ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი სირცხვილია. ან კიდევ ხალხი პარლამენტთან უნდა დადგეს და მოუწყონ სირცხვილის კორიდორი. უნდა დაუსტვინოთ, რომ მიხვდნენ, მეორეჯერ არ გაიმეორონ მსგავსი შეცდომა. დღეს „მოსმენების კანონთან“ დაკავშირებით, როდესაც მეორეჯერ დაადო პრეზიდენტმა ვეტო და როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე დააბრუნა ეს კანონპროექტი უკან პარლამენტში, ნაცვლად მორალური პასუხისმგებლობისა, ხალხმა ხელისუფლებას უნდა დააკისროს ფიზიკური პასუხისმგებლობა და ჭინჭრებით დასცხონ ერთ ადგილას. – განაცხადა მედიასთან საუბარში რომან გოცირიძემ.

# პოლონელი ექსპერტი: „ნატო-რუსეთის კონფლიქტი დივერსიული მოქმედებებით იქნება გამოხატული“

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოს მორიგი სამიტი მაისში ბრიუსელში ტარდება. მასში მონაწილეობს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

ვაშინგტონი მოელის, რომ ნატოს სამიტზე განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მოკავშირეებს შორის პასუხისმგებლობის განაწილება და ტერორიზმთან ბრძოლა.

12 აპრილს ვაშინგტონში დაგეგმილია დონალდ ტრამპის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან. შეხვედრაზე ისაუბრებენ ნატოს გაძლიერებაზე.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი აცხადებს, რომ სტაბილურობაზე რეგიონში პოზიტიურად იმოქმედებს ნატოში ახალი წევრის, მონტენეგროს მიღება. მან მოუწოდა სენატს, მოახდინოს ამ სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული დოკუმენტის რატიფიკაცია.

– ეს დადებითად აისახება მეზობელი ქვეყნების სტაბილურობაზე და იქნება აშშ-ის ინტერესების შესაბამისი, – აღნიშნა ტილერსონმა.

მონტენეგროს გამო რამდენიმე დღის წინ აშშ-ის სენატში ერთმანეთს სენატორები დაუპირისპირდნენ. მაიკლიმ და რენდ პოლმა განხილვისას განაცხადეს, რომ მისი ნატოში წევრობის ნაჩქარევად გადაწყვეტა არ შეიძლება, ვინაიდან, ეს კავშირშია აშშ-ის ფინანსურ ვალდებულებებთან.

ჯონ მაკეინმა აღნიშნა, რომ რენდ პოლი ვლადიმერ პუტინზე მუშაობს. პოლმა კი, დასძინა, რომ 80 წლის მაკეინი ცოტა შეიშალა.

მცირე დაბრკოლებების მიუხედავად, მოსალოდნელია, რომ მონტენეგრო წელს გახდება ნატოს სრულუფლებიანი წევრი. შესაბამისი პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინა ნატოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობამ.

დასავლელი ექსპერტების პროგნოზით, რუსეთი მონტენეგროს არ მოეშვება. მოსკოვი არ დათმობს თავის ინტერესებს ბაკლანეთსა და კავკასიაში. ბალკანეთში რუსეთი ნატოს დაუპირისპირდება მონტენეგროსა და სერბეთის გამო. რუსეთს იმედი აქვს, რომ ეს ორი სახელმწიფო იქცევა რუსეთის ბაზად ევროპაში.

ევროპაში გრძელდება ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის გაძლიერება. პოლონეთში ამ მიზნით ხდება ამერიკელი სამხედროების განლაგება, ესტონეთში – ბრიტანელი, ლიტვაში – გერმანელი, ლატვიაში კი – კანადელებისა.

– ეს ადასტურებს, რომ ალიანსის ვარშავის სამიტის გადაწყვეტილებები სრულდება, – აცხადებს პოლონელი ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი რომან პოლკო.




– პუტინს რომ ეს არ მოეწონებოდა, მოსალოდნელი იყო. მას მხოლოდ ძალისა და მოქმედებების ენა ესმის. იგი ყურადღებას არ აქცევს პროტესტის ნოტებსა და სხვა დიპლომატიურ ნაბიჯებს. ამიტომ, დადგა აღმოსავლეთ ფლანგზე მოკავშირეების ძალების გამოჩენის დრო, – აღნიშნავს სამხედრო ექსპერტი.

მისი შეფასებით, განთავსებული ნაწილები ოპერატიული ქვედანაყოფებია. ეს ნაბიჯი ადასტურებს ნატოს სოლიდარობას.

რომელ ნაწილებს აამოქმედებს ნატო რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში? რომან პოლკოს თქმით, ეს სპეციალური ქვედანაყოფები იქნება.

ყველაზე რეალურ სცენარად ექსპერტი მოსალოდნელ დივერსიულ მოქმედებებს თვლის. მისი თქმით, რუსეთისაგან მოწინააღმდეგე უნდა ელოდეს დივერსიული ხასიათის მოქმედებებს საინფორმაციო ომის თანხლებით. მისი ერთ-ერთი ხერხია ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევა და ქაოსის ორგანიზება.

რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციული ომი და კიბერშეტევები საქართველოს მიმართაც ივარაუდეს ბალტიისპირელმა მეცნიერებმა. მათი კვლევის თანახმად, რუსეთი ურჩი მეზობლების მიმართ ღია აგრესიულ მოქმედებებსაც გააგრძელებს.

# ლონდონში მანქანამ ქვეითები გაიტანა



გუშინ ლონდონში, პარლამენტთან სროლამდე, ვესტმინსტერის ხიდზე მანქანა ქვეითებს დაეჯახა. დაშავებულია 15-მდე ადამიანი.

ლონდონში ერთდროულად ორი თავდასხმა მოხდა. პარლამენტის შენობასთან მომხდარი ინციდენტის შედეგად პოლიციის ოფიცერია დაჭრილი.

დანით შეიარაღებული მამაკაცი პარლამენტში შეღწევას ცდილობდა. ის პოლიციელს თავს დაესხა, საკანონმდებლო ორგანოს დაცვის წევრებმა კი მისი მისამართით ისროლეს.

მამაკაცი სამართალდამცავებმა მოკლეს.

სკოტლანდ იარდი ლონდონში მომხდარ თავდასხმებს ტერორისტულ აქტად აფასებს.

პარლამენტის შენობის შესასვლელი ამ დრომდე დაკეტილია, მიმდებარე ტერიტორიაზე კი მოძრაობა შეზღუდულია.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საქართველოში უმუშევრები შემწეობას მიიღებენ?



პროფკავშირებმა საქართველოს მთავრობას უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისათვის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფულადი შემწეობის დანიშვნის ინიციატივით მიმართა. პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა ალექსანდრიამ, „პირველს“ განუცხადა, რომ მათ მთავრობას აღნიშნული მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს და ასევე კანონპროექტი წარუდგინეს პარლამენტს.

მისი განმარტებით, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ მისი მიღების პერიოდში მომუშავე ადამიანებმა, რომლებიც მომავალში შესაძლოა უმუშევრები დარჩნენ, ფულადი კომპენსაცია მიიღონ.

– ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ მთავრობას, თავისი დასაბუთებით, კანონპროექტის აღწერით. გასულ წელსაც გვქონდა საუბარი, რომ შეეტანათ სამოქმედო გეგმაში ეს მოთხოვნა. არსებობს ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა, ორჯერ განახლდა და ორჯერვე მოვითხოვეთ, რომ მასში შეტანილი ყოფილიყო ეს პროექტი, თუმცა ეს არ განხორციელდა.

კანონპროექტი ახლაც პარლამენტშია, თუმცა მას ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ახლა მომუშავე ადამიანებს, მინიმუმ, 6-8 თვემდე მიეცეთ ეს თანხა, თუკი ისინი მომავალში დარჩებიან უმუშევრად, ანუ, ეს გულისხმობს, რომ როცა კანონი ძალაში შევა, იმ მომენტში ვინც მუშაობს, მათ გარკვეული თანხა მიეცემათ და არა სრულიად უმუშევრებს.

დასაქმებული ადამიანები ისედაც იხდიან 20%-ს საშემოსავლო გადასახადს და მისგან უამრავი რამ ფინანსდება ქვეყანაში, თუმცა არ ფინანსდება უმუშევარი ადამიანების შემწეობა. მათ აქვთ უფლება მოითხოვონ, რომ მათ ჰქონდეთ უმუშევრობის შემწეობა, – განაცხადა გოჩა ალექსანდრიამ.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული ინიციატივით პროფკავშირებს მათთვის არც მიუმართავთ. მეტიც, როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას უწყების შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელზა ჯგერენაია აცხადებს, სამინისტროში ეს საკითხი საერთოდ არც განიხილება.

– უმუშევრობის შემწეობის საკითხი არც სამმხრივ კომისიაზე არ განხილულა. უმუშევრობის შემწეობა არის შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკა, ჩვენ კი ამას აქტიურ პოლიტიკას ვუპირისპირებთ, რაც გულისხმობს სამუშაოს მაძიებლების გადამზადებას. ეს პრაქტიკა ჩვენ 2015 წელს დავნერგეთ და ეს არის ის, რასაც ევროკავშირში უპირატესობას ანიჭებენ, – განუცხადა „კომერსანტს“ ელზა ჯგერენაიამ.

უმუშევრობის შემწეობა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაშია. მუშაობის პერიოდში დასაქმებული სადაზღვევო კომპანიაში ხელფასის გარკვეულ რაოდენობას იხდის, სამსახურის დაკარგვის შემდეგ კი ხელფასის დაახლოებით 50-70-%-ს იღებს. უმუშევრობის კომპენსაცია-შემწეობის თანხა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობით და განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გაიცემა.

# ავტომაგისტრალებზე ტრანზიტული გადაადგილება ფასიანი გახდება?!

საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების, მოვლა-შენახვის და ექსპლუატაციის შესახებ კვლევა მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. სწორედ ამ პერიოდისთვის გადაწყდება, დაწესდება თუ არა სატრანზიტო ნაკადებისთვის, მათ შორის მსუბუქი ავტომობილებისთვის საქართველოს მასშტაბით გზებზე სარგებლობის გადასახადი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2 კვლევა – მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, რომლის დასრულების შემდეგაც დასკვნა დაიდება და სწორედ ამის შემდეგ დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები.

– ეს კვლევები არ არის მხოლოდ ფასიან გზებზე. ეს მიმდინარეობს იმისთვის, რომ გამოვლინდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მომავალში მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის, მისი ხარჯების და გზით სარგებლობის გადასახადის მოდელები. მათ შორის გზების სარგებლობის სატრანზიტო ნაკადებისათვის. ეს იმიტომ, რომ შემდგომში 40-წლიანი პერსპექტივით ხელისუფლებას თავისი ქმედებების დაგეგმვის საშუალება ჰქონდეს.

სხვა რაიმე კონკრეტული თემა, რომ გზები, თუნდაც, რიკოთის ავტობანი იქნება ფასიანი თუ არა, ამ ეტაპზე საუბარი არავის არ შეუძლია, – აცხადებს სეთურიძე.შეგახსენებთ, 2016 წლის ბოლოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილი აცხადებდა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოში ფასიანი გზების შემოღების საკითხზე მუშაობდა.

მაშინ ხუციშვილი აცხადებდა, რომ რეგიონული განვითარების სამინისტრო



საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მიდგომის შემუშავებაზე მუშაობდა.

ხუციშვილი განმარტავდა, რომ ფასიანი გზის პრინციპი გულისხმობს თავისთავად ალტერნატიული, უფასო გზების არსებობასაც. „მძღოლს უნდა ჰქონდეს საშუალება, ისარგებლოს უფასო გზით და თუ სურვილი ექნება, ისარგებლოს ფასიანი გზით, – აცხადებდა მინისტრის მოადგილე.

ფასიანი გზების არსებობასთან დაკავშირებით საუბრობენ სპეციალისტებიც. მათი ინფორმაციით, ფასიან გზებთან დაკავშირებით არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი. იგი განსაკუთრებულად ევროპისთვისაა დამახასიათებელი.

პროექტის ანალოგი წარმატებით ხორციელდება პოლონეთში, თურქეთში, გერმანიაში, ავსტრალიაში და სხვა. მათი განცხადებით, თითქმის ყველა შემთხვევაში, ფასი განისაზღვრება ცალკეული მონაკვეთების მიხედვით, რეგისტრირებულ პირებს თანხის გადახდა შეუძლიათ როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე საბარათე ოპერაციების საშუალებით.

# თბილისის მერიაში ადასტურებენ, რომ საბაგიროების ფასის ცვლილების ინიციატივით საკრებულოს მიმართეს

როგორც თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, საბაგიროებით სარგებლობის საფასური 1 ლარს შეადგენს, თუმცა, მისი თვითღირებულება 1.95 ლარია.

მათი განმარტებით, არ არის მიზანშეწონილი, მერიამ დააფინანსოს უცხოელი ტურისტების, თუნდაც საქართველოს მოქალაქეების ტურისტულ-გასართობი ღონისძიებები.

– დღესდღეობით საბაგიეროებით სარგებლობის საფასური შეადგენს 1 ლარს. თუმცა, მისი თვითღირებულება არის 1.95 ლარი. ჩვენი დაკვირვებით, მგზავრების 80% უცხოელი ტურისტია.

ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ მერია არ უნდა აფინანსებდეს მგზავრების, მათ შორის უცხოელი ტურისტების კულტურულ გასართობ ღონისძიებებს. საბაგირო არ არის მგზავრობის საშუალება, დღესდღეობით, ეს კულტურულ-გასართობი საშუალებაა როგორც უცხოელი სტუმრებისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისთვის.

დღესდღეობით, მერიას საბაგიროების შენახვა უჯდება დაახლოებით 1.720.000 ლარი, სწორედ იმიტომ, რომ ეს შეღავათებია დაწესებული. მერიის პოზიციაა, რომ არ არის მიზანშეწონილი დავაფინანსოთ უცხოელი ტურისტების, თუნდაც საქართველოს მოქალაქეების ტურისტულ-გასართობი ღონისძიებები.

უმჯობესია, თანხა უფრო მართებულად დაიხარჯოს. მერია სხვადასხვა უფასო და შეღავათიან მგზავრობებს ყოველწლიურად აფინანსებს 60.000.000 ლარით, – განაცხადეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.

მათივე ინფორმაციით, მერიის ინიციატივა, რომლითაც საკრებულოს მიმართეს, საბაგიროთი მგზავრობის ფასის 2 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს, „რაც გამოიწვევს იმას, რომ საბაგირო თავის თავს შეინახავს“.

– 2 ლარი თუ გახდება საბაგირო, იქნება რენტაბელური, თავის თავს შეინახავს. ამით მერია და სატრანსპორტო კომპანია 1 720 000-ის ეკონომიას გაწევს. კომპანიამ მიმართა მერიას წერილით, რომ მიზანშეწონილად მიაჩნდა ფასების გადახედვა და მერიამ მიმართა ინიციატივით საკრებულოს. საკრებულო განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას, შეიტანოს საბაგიროთი მგზავრობის ფასში ცვლილებები თუ არა, – აღნიშნეს მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.

რიყე-ნარიყალასა და კუს ტბის საბაგირო გზებით სარგებლობის გაძვირების შესახებ ინფორმაცია საკრებულოს წევრმა ირაკლი ნადირაძემ გაავრცელა.

# აქსისის ახალ საცხოვრებელ კომპლექსში გაყიდვები დაიწყო!

თბილისის შუაგულში, რომელმაც ცოტა ხნის წინ ახალი სიცოცხლე შეიძინა, „ახალ ტფილისთან“ ახლოს, „თამბაქოს პირველი ფაბრიკის“ ტერიტორიაზე, სულ მალე თანამედროვე არქიტექტურის საცხოვრებელი სახლი აშენდება.




„წინამძღვრიშვილის 125“– ეს აქსისის ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მისამართია.

აქსისის, როგორც დეველოპერული კომპანიის მთავარი მიზანი ქალაქის არქიტექტურული იერსახის დახვეწა, საზოგადოებისთვის სასარგებლო სივრცეების შექმნა და გარემოზე ზრუნვაა.

ამ მხრივ არც „წინამძღვრიშვილის 125“-ია გამონაკლისი.

პროექტის მდებარეობის გამო, აქსისი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. გასათვალისწინებელი იყო ისტორიული შენობის შტრიხების თანამედროვე არქიტექტურასთან შერწყმა. შეიქმნა პროექტის რამდენიმე ვარიანტი, სადაც „თამბაქოს პირველი ფაბრიკის“ უნიკალური თაღოვანი ფასადის და ხის კვეთილი სადარბაზო კარის რესტავრაცია იგეგმება. ფოცხვერაშვილის ქუჩის მხრიდან გაფართოვდება ტროტუარი და გაჩნდება საფეხმავლო გზა. პროექტის ასეთი გადაწყვეტა აქსისის გამორჩეული არქიტექტურის კიდევ ერთი მაგალითი იქნება.

პროექტი გულისხმობს რვასართულიანი შენობის აშენებას, სადაც შვიდ საცხოვრებელ სართულზე განთავსებული იქნება 53 ბინა, ხოლო პირველი სართული დაეთმობა კომერციულ ფართებს. ფასადის მოსაპირკეთებლად გამოიყენება დეკორატიული აგური და ხის პანელები. ძველი თბილისის არქიტექტურული შტრიხები კი მას განსაკუთრებულობას შესძენს.

საცხოვრებელ კომპლექსს ესაზღვრება სამი ქუჩა: წინამძღვრიშვილის, ფოცხვერაშვილის და სურამის.

სატრანსპორტო კვანძებთან და ქალაქის ძირითად სავაჭრო ობიექტებთან სიახლოვე კი მას დამატებით ღირებულებას სძენს და მის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

მდებარეობასთან ერთად აღსანიშნავია პროექტის სხვა უპირატესობებიც:

- ბინების ოპტიმალური გეგმარება;
- სრული რემონტი;
- დიდი აივანი ან ტერასა;
- 1163 კვ. მეტრზე განთავსებული მიწისქვეშა ავტოსადგომი;
- კეთილმოწყობილი შიდა ეზო, რომელიც უბნისთვის დამახასიათებელი ტრადიციული „იტალიური ეზოების“ თანამედროვე ვარიანტია;
- განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- კონსიერჟის მომსახურება.

„აქსისი“ რჩება თავისი იდეის ერთგული და კვლავ ისეთ პროდუქტს გთავაზობთ, რომელიც ცხოვრების სტილის სრულიად ახალ სტანდარტს დანერგავს საქართველოში.

პროექტის მშენებლობა დასრულდება 2018 წლის მაისში.

# პოლიციის თანამშრომელი აცხადებს, რომ მისი კოლეგა მეგი ხუნწარია მეუღლის მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფება



პოლიციის თანამშრომელი გია ხალვაში აცხადებს, რომ მისი კოლეგა მეგი ხუნწარია მეუღლის მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფება. როგორც ხალვაშმა დაკავებული რამაზ ხიმშიაშვილის სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინდელ პროცესზე მეგი ხუნწარიამ უარყო, რომ 11 მარტს „პლაზას" მიმდებარე ტერიტორიაზე რამაზ ხიმშიაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ხალვაშის განმარტებით, ხუნწარიამ ეს იმიტომ უარყო, რომ მეუღლის მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

– მეგი ხუნწარიამ გუშინ მითხრა, რომ მისმა მეუღლემ სასამართლოზე მისვლა აუკრძალა. მეგი ხუნწარიას მეუღლე სუს-ის თანამშრომელია, რომელიც გუშინ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, – აღნიშნა გია ხალვაშმა.

21 მარტს, ბათუმში, ჯიმი ვარშანიძისა და რამაზ ხიმშიაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელთა დაკავებასაც 11 მარტს საპროტესტო აქცია მოჰყვა. მხარეებმა მტკიცებულების სახით აუდიო-ვიდეო მასალა და მოწმეები წარადგინეს.

მოწმის სახით ჯიმი ვარშანიძის მამაც დაიკითხა, რომელმაც მომხდარი დეტალურად გაიხსენა და განაცხადა, რომ იგი დაკავების მომენტში შეუძლოდ იყო და სამართალდამცავებმა მისი მდგომარეობა არ გაითვალისწინეს.

ამასთან, მოწმის სახით საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მეგი ხუნწარიაც იყო წარმოდგენილი. მან სასამართლო სხდომაზე რამაზ ხიმშიაშვილისგან შეურაცხყოფის ფაქტი უარყო.

# დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები სინოდის რამდენიმე წევრის გამოკითხვას ითხოვენ



დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართეს, რომ დაცვის მხარეს წინასწარი გამოძიების მსვლელობისას სინოდის რამდენიმე წევრის გამოკითხვის საშუალება მიეცეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" მამა გიორგის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, დაცვის მხარეს სურს, სასამართლო განხილვების დაწყებამდე წმინდა სინოდის 16 წევრი გამოკითხოს და შესაბამისი განცხადებით საპატრიარქოსაც მიმართეს.

– როდესაც მივმართეთ საპატრიარქოს, იურიდიულმა სამსახურმა ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, კანონი ითვალისწინებს ამ მოქმედებების განხორციელებას როგორც ნებაყოფლობით, ასევე სასამართლოს ძალით. ჩვენ ვითხოვთ წმინდა სინოდის 16-17 წევრის გამოკითხვას, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

თავის მხრივ საპატრიარქოს იურისტი ედიშერ ქარჩავა განმარტავს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებს, საპროცესო კანონმდებლობით, გამოკითხვის წარმოების უფლება არ აქვთ.

როგორც ედიშერ ქარჩავამ აღნიშნა, მუხლი, რომლითაც მამა გიორგი მამალაძეს ბრალი აქვს წაყენებული, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალ დებულებებს შორისაა. გარდამავალი დებულების თანახმად, სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარე გამოძიებისას, პირის დაკითხვა ამ კოდექსის მიღებამდე არსებული წესით ხდება.

საპატრიარქოს იურისტის თქმით, აქედან გამომდინარე, სასამართლო სხდომამდე, პირის გამოკითხვის უფლება მხოლოდ პროკურატურას აქვს. ედიშერ ქარჩავა წმინდა სინოდის წევრების გამოკითხვაზე უარის თქმის საფუძვლად სწორედ ამ გარემოებას ასახელებს.

# გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარი შიმშილობს



ადვოკატ ნონა ფილაურის ინფორმაციით, გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში, დაახლოებით 10 დღეა პატიმარი ომარ ცისკარაშვილი შიმშილობს.

როგორც ადვოკატმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, პატიმარმა შიმშილობას „ობიექტური სასამართლოს" მოთხოვნით მიმართა.

მისივე ინფორმაციით, ცისკარიშვილი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

– დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება, იმ მოწმეთა სია გადაგვეცა სასამართლოსა და ბრალდების მხარისთვის, ვისი დაკითხვის აუცილებლობასაც ჩვენ ვთვლიდით საჭიროდ.

ომარ ცისკარაშვილს ჩემამდე სხვა ადვოკატი ჰყავდა. მას არ ჩაუთვალეს, რომ დასაკითხ პირთა სია ვადაში მიაწოდა სასამართლოს, რის გამოც მხოლოდ ბრალდების მოწმეები დაკითხეს.

სასამართლოზეც გაიჟღერა, რომ მოწმეებზე ზეწოლა განხორციელდა პოლიციის მხრიდან. ამაზე პროკურატურამ ვითომ ძიება დაიწყო, თუმცა პროცესი დროში გაიწელა. დააკავეს ერთი მოწმეც.

ისინი, ვისაც სიმართლე უნდა ეთქვათ, პროკურატურამ სიიდან ამოიღო. მოსამართლე არ მოიქცა სამართლიანად, რადგან მათი პირვანდელი ჩვენება გამოაქვეყნა სასამართლოს სხდომების დროს.

დაიკითხნენ მხოლოდ ის გამომძიებლები, რომლებმაც მოწმეები დაკითხეს. გამომძიებლებმა თქვეს, რომ მოწმეებზე ზეწოლა არ განხორციელებულა. ვფიქრობ, ეს არის თვალში ნაცრის შეყრა და უმსგავსობა, – განაცხადა ადვოკატმა.

ომარ ცისკარაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის ე და მეოთხე ნაწილის ბ ქვეპუნქტებით (ძარცვა), 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ), ასევე 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით ( ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება).

# ვახუშტის ხიდთან ავარიის შედეგად ხუთი ადამიანი მსუბუქად დაშავდა



თბილისში, ვახუშტის ხიდის მიმდებარედ, ავარიის შედეგად 5 ადამიანი მსუბუქად დაშავდა. ერთმანეთს „ტოიოტას" მარკისა და „ოპელის" მარკის მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

ხუთივე დაშავებულს სასწრაფო დახმარების ექიმები ადგილზე უწევენ დახმარებას.

ავარიის შედეგად მოძრაობა რამდენიმე წუთით იყო შეფერხებული. ამ წუთებში მოძრაობა აღდგენილია.

# თვითმხილველი: „11 წლის გოგონა დედასთან ერთად გაჩერებაზე იდგა, როცა მანქანა ჯერ განათების ბოძს, შემდეგ კი მათ დაეჯახა"



– 11 წლის გოგონა დედასთან ერთად გაჩერებაზე იდგა, რა დროსაც „ბე ემ ვეს" მარკის ავტომობილი ჯერ გაჩერების ბოძს, შემდეგ კი დედა-შვილს დაეჯახა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" აღმაშენებლის ხეივანში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თვითმხილველმა ვალერი ვარნეჩოვმა განუცხადა.

მისივე თქმით, გოგონას თავში, სავარაუდოდ, გაჩერების ბოძის დეტალიც მოხვდა.

– ისეთი სურათი ვნახე, რომ ბავშვთან ველარ მივედი. ველარც დედამისთან მივედი, ცუდად გავხდი, ისეთი მდგომარეობა იყო.

დედაც და შვილიც აქვე ცხოვრობდნენ. გაჩერებაზე იდგნენ – ალბათ, სკოლაში მიდიოდნენ. ვნახე, რომ „ბე ემ ვეს" მარკის მანქანა დაეჯახა ჯერ გაჩერების ბოძს, შემდეგ კი მათ. შევხედე, რომ ბოძის რაღაც დეტალიც მოხვდა გოგონას თავში, – აღნიშნა ვალერი ვარნეჩოვმა.

აღმაშენებლის ხეივანში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მცირეწლოვანი ბავშვი გარდაიცვალა, ხოლო დედა საავადმყოფოშია გადაყვანილი.

# იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თამარ ალანია სტრასბურის მოსამართლეობის სურვილს გამოთქვამს



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა თამარ ალანიამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატად საკუთარი თავი წარადგინა.

როგორც ალანიამ აღნიშნა, მისი გამოცდილება აძლევს იმის საფუძველს, რომ განაცხადოს პრეტენზია აღნიშნულ თანამდებობაზე.

მისივე თქმით, გარდა საქართველოში მოსამართლედ მუშაობის გამოცდილებისა, მას სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც აქვს ნამუშევარი.

– მე რომ არ ვაფასებდე ჩემს შესაძლებლობებს და იმ შანსებს, რომელიც გამაჩნია, ცხადია, ამ თანამდებობაზე ჩემს კანდიდატურას არ წარვადგენდი.

მე გახლავართ მოქმედი მოსამართლე, რომელსაც 11-წლიანი გამოცდილება აქვს და ასევე მაქვს სტრასბურის სასამართლოში მუშაობის გამოცდილება იურისტად. აქედან გამომდინარე, ჩემი გამოცდილება მაძლევს საფუძველს, რომ მქონდეს პრეტენზია აღნიშნულ თანამდებობაზე, – განაცხადა თამარ ალანიამ.

კითხვაზე, აქვს თუ არა მოლოდინი, რომ ამჯერად მაინც მოხდება შესაბამისი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ის პროცესის მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი.

# მამუკა ახვლედიანი დაიბარეს



საკრებულოს წევრი და თბილისის ყოფილი ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" თავად მამუკა ახვლედიანმა დაუდასტურა.

მისი თქმით, საგამოძიებო უწყება მას დაკითხვაზე უკვე მეორედ იბარებს. ახვლედიანის ინფორმაციით, საქმე პროექტ „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეს" ეხება, რომლის განხორციელებასაც ის პირადად ხელმძღვანელობდა.

– აინტერესებთ, რა თანხები იხარჯებოდა და რამდენად მიზნობრივად, მაგრამ არ მესმის ამ საქმეზე რა ძიებაა საჭირო. ეს პროექტი 2009 წელს წამოიწყო მთავრობამ, მაშინ, როდესაც დეველოპერული კომპანიები, მათ შორის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ველარ მუშაობდნენ. მთავრობამ მათ სტიმული მისცა და აქ საქმე მხოლოდ დეველოპერულ კომპანიებს არ ეხებათ. ამას ებმებოდა ყველა ის ბიზნესი, რომელიც მშენებლობასთანაა დაკავშირებული, – განაცხადა ახვლედიანმა.

კითხვაზე: შეიძლება თუ არა ამ საქმეში გამოძიება თბილისის იმჟამინდელი მერის, გიგი უგულავას ბრალეულობის გამოკვეთაზე მუშაობდეს, ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა.

– ეს პროექტი ცენტრალური მთავრობის მიერ იყო წამოწყებული. თანხები ცენტრალური ბიუჯეტიდან მოდიოდა და კომისიას, რომელშიც შედიოდნენ როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ვხელმძღვანელობდი მე. ამ შემთხვევაში უგულავას რა ბრალეულობა უნდა გამოიკვეთოს, არ მესმის, მაგრამ ამ მთავრობის ხელში არაფერია გამორიცხული, – აღნიშნა მამუკა ახვლედიანმა.

# სასამართლომ ოჯახის წევრზე ძალადობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო



სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრზე ძალადობისა და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების განმეორებით შეუსრულებლობის ფაქტზე ა.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" და ,,ე" ქვეპუნქტითა და 111,3811-ე მუხლის პირველი ნაწილით. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ წარსულში მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნასამართლევმა ა.მ.-მ ყოფილ მეუღლეს რამდენჯერმე მიაყენა შეურაცხყოფა.

2016 წლის 30 დეკემბერს ყოფილი მეუღლის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე სასამართლომ მის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცა. ა.მ.-მ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები დაარღვია და 2017 წლის იანვარში ყოფილ მეუღლეს საცხოვრებელ სახლში რამდენჯერმე მიუვარდა და არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც დაზარალებულის ტანჯვა გამოიწვია.

სამართალდამცველებმა ა.მ. 2017 წლის 17 იანვარს, ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ" და ,,ე" ქვეპუნქტებითა (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ჩადენილი არაერთგზის) და 111,3811 მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ ა.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ამერიკელი სენატორები უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მოითხოვენ



ამერიკელი სენატორები ტრამპისაგან უკრაინისათვის ლეტალური იარაღის სასწრაფოდ მიწოდებას მოითხოვენ. სენატორ მაკეინსა და მის თანამოაზრეებს მხარი სენატორმა ერნსტმაც დაუჭირა.

მან ხაზი გაუსვა, რომ პუტინი მკვეთრად გამოხატულ ანტიამერიკულ კურსს ატარებს. რუსეთის პრეზიდენტი მიისწრაფის, გააძევოს ამერიკელები ახლო აღმოსავლეთიდან, დაასუსტოს ნატო და გახლიჩოს ევროკავშირი. ამ მიზნით გამოყოფილია უზარმაზარი თანხები, მოქმედებაშია მოყვანილი უმძლავრესი პროპაგანდისტული თუ აგენტურული მექანიზმი.

– მოვალენი ვართ, რუსებს საკადრისი პასუხი გავცეთ, – ამბობს ერნსტი.

ამას ამერიკელ კონგრესმენთა უმრავლესობა ეთანხმება. ნატოს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ვერბშოუ თავის მხრივ აცხადებს, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება აუცილებელია და დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება. გენერალი ფილიპ ბრიდლავი კი მიიჩნევს, რომ აქამდე ამერიკა მხოლოდ თავს იცავდა, ახლა კი კონტრდარტყმის მიყენების დრო დადგა და ეს უკრაინის მხარდაჭერით უნდა გამოიხატოს.

– ნატოს სტრატეგია თავდაცვაზეა აგებული. ჩემთვის, როგორც სამხედროსთვის, დაცვის საუკეთესო საშუალება შეტევაა, – აცხადებს ბრიდლავი.

ექსპერტები ამ ეტაპზე უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებენ. ბიბისი მიიჩნევს, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები გართულდა, რაც საერთაშორისო ვითარებაზეც აისახა. უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია მდგომარეობის დაძაბვა როგორც სირიაში, ასევე უკრაინასა და კავკასიაშიც. მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტი კვლავაც ცდილობს, რუსეთთან თუნდაც რაიმე შეთანხმებას მაინც მიაღწიოს და დაძაბულობა განმუხტოს. უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება ტრამპის მთელს ძალისხმევას ხაზს გადაუსვამს. შესაბამისად, ამ ეტაპზე უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდება ნაკლებ მოსალოდნელია.

რაც შეეხება ესკალაციას, ამ საკითხში ექსპერტები ერთსულოვანი არიან. ისინი მიიჩნევენ, რომ უახლოეს ხანებში უკრაინაში ლოკალური ხასიათის შეტაკებები გაგრძელდება. დაძაბულობის მკვეთრი ზრდა აპრილის ბოლოსაა მოსალოდნელი. პიკი 1-12 მაისს დადგება. შემდგომ გამწვავებას ივლის-აგვისტოში მოელიან.

როგორც ჩანს, უკრაინას ამასთან გამკლავება საკუთარი ძალებით მოუწევს. კიევში ეს კარგად ესმით, ამიტომაც რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად ინტენსიურად ემზადებიან – უკრაინამ საკუთარი წარმოების რაკეტა გამოსცადა, რამაც წარმატებით ჩაიარა.

– ჩვენ ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ, – აცხადებს უკრაინული ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დმიტრო იაროში.

უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხი დღის წესრიგში რეალურად ალბათ შემოდგომისთვის დადგება.

# ლუკაშენკომ ბელარუსში პარტიზანები აღმოაჩინა



ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მორიგი აღმოჩენები გააკეთა. მან განაცხადა, რომ ბობრუისკის მახლობლად პარტიზანების ბანაკი არსებობდა, სადაც მებრძოლების მომზადება ხდებოდა.

– მათი მიზანი ბელარუსის ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლების ორგანიზება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა იყო, – თქვა ალექსანდრ გრიგორიევიჩმა.

ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ მომავალი ბელარუსი პარტიზანების მომზადება მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზეც წარმოებს. კერძოდ, ასეთი ბანაკები არსებობენ უკრაინაში, პოლონეთში, ლიტვაში.

– სათანადო მომზადების შემდეგ ხდება მებრძოლების ბელარუსში გადმოსროლა და აქ ტერორისტული დაჯგუფებების შექმნა, – ამტკიცებს ლუკაშენკო.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლუკაშენკო ახალი რეპრესიებისთვის ემზადება და „პარტიზანების“ აღმოჩენა საამისოდ საუკეთესო საბაბია.

ბელარუსში სოციალური მდგომარეობა გაუარესდა. რუსეთს, რომელიც რამდენიმე ლოკალურ ომშია გაჭედილი (სირია, უკრაინა), ბელარუსის დაფინანსების საშუალება აღარ აქვს. მოსახლეობაც ქუჩაში გამოდის. ხალხსა და მილიციას შორის შეტაკებებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო.

– ლუკაშენკოც ცდილობს, პროტესტი ძალისმიერი საშუალებებით ჩაახშოს და ამიტომ მშვიდობიან მომიტინგეებს ტერორისტებად აცხადებს, – თვლის ამერიკელი ექსპერტი კლარკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტრამპი ნატოს სამიტს დაესწრება



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნატოს სამიტს დაესწრება. ამის თაობაზე თეთრი სახლის წარმომადგენელმა შონ სპეისერმა განაცხადა.

სამიტი 15 მაისს ბრიუსელში გაიმართება. დაგეგმილია ტრამპის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან სტოლტენბერგთან, აგრეთვე ნატოს წევრი ქვეყნების მეთაურებთან.

– მოლაპარაკებების მთავარი თემა ნატოს გაძლიერება და მისი წევრი თითოეული ქვეყნის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანა იქნება, – ამბობს სპეისერი.

# ტილერსონი: „მალე ანტიტერორისტული კოალიციის კონფერენცია ჩატარდება“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ მალე ანტი-ტერორისტული კოალიციის წევრი ქვეყნების კონფერენცია ჩატარდება. მასში მონაწილეობას კოალიციაში შემავალი ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

მთავარი თემა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება და ამ ორგანიზაციის საბოლოო განადგურება იქნება.

ტილერსონმა აღნიშნა, რომ ისლამისტ-ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. კოალიციაში შემავალმა ყველა ქვეყანამ უნდა იცოდეს, როდის და რა განახორციელოს.

– მჯერა, რომ საერთო ძალისხმევით ტერორისტებს გავანადგურებთ, – აცხადებს ტილერსონი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რეჯეფ ერდოღანი ევროპას ემუქრება



თურქეთს ბოლო პერიოდში ევროპასთან ძალიან დაეძაბა ურთიერთობა. განსაკუთრებით ეს ჰოლანდიას და გერმანიას ეხება. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა გერმანელებს ნაცისტები უწოდა, ხოლო ევროპაზე თქვა, რომ მათ ნიღაბი ჩამოიხსნეს და თავიანთი ნამდვილი სახე აჩვენეს.

ჰოლანდიასთან დაპირისპირების მიზეზი ის გახდა, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი როტერდამში არ შეუშვეს. ამის გამო ერდოღანმა ჰოლანდია გააკრიტიკა.

ერდოღანმა საპრეზიდენტო სასახლეში სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თურქეთის მართვას ვერავინ შეძლებს, ევროპამ კი თავისი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მათ სირთულეები ჰქონდეთ.

– თუ ევროპა განაგრძობს ამგვარად მოქცევას, არც ერთი ევროპელი მსოფლიოს არც ერთ კუთხეში უსაფრთხოდ ვერ გაივლის ქუჩებში, – განაცხადა რეჯეფ ერდოღანმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# საფრანგეთის შს მინისტრი გადადგა



საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრუნო ლე რუმ გადადგომის შესახებ გამოაცხადა.

მიზეზი მის გარშემო აგორებული კორუფციული სკანდალი გახდა. ლე რუ-ს ბრალად დასდეს ის, რომ თავისი ქალიშვილები პარლამენტში კარგად ანაზღაურებად სამუშაოზე მოაწყო.

– ჩემ გარშემო აჟიოტაჟი ხელოვნურად აგორდა. ეს მთავრობის მუშაობას პარალიზებით ემუქრება. მეც ამას გადადგომა ვამჯობინე, – განაცხადა ლე რუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საფრანგეთის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი მატიას ფეკლი გახდა



საფრანგეთის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი მატიას ფეკლი გახდა, რომელიც აქამდე საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მინისტრის პოსტს იკავებდა.

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბრუნო ლე რუ რამდენიმე დღის წინ გადადგა კორუფციული სკანდალის გამო.

მატიას ფეკლმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ამ პოსტის დაკავება და ის ყველანაირად ეცდება, რომ ქვეყანაში მაქსიმალური უსაფრთხოება უზრუნველყოს.

შეგახსენებთ, რომ სულ მალე საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნები იქნება და ამ პერიოდში ქვეყნის უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 23 აპრილს, ხოლო მეორე ტური კი 7 მაისს გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**


## საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფაჩულიამ ყოფილ გუნდს მოუგო, შენგელია ევროლიგაზე ყოჩაღობს

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულია და გოლდენ სტეიტი იმ ქალაქში ჩავიდნენ სათამაშოდ, სადაც ქართველმა ცენტრმა 13-წლიანი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი გაატარა. წინა სეზონში ფაჩულია დალას მავერიკსში საშუალოდ ორმაგ დუბლს ითვლიდა და დირკ ნოვიცკისთან ერთად გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რის შემდეგაც მას კონტრაქტი გოლდენ სტეიტმა შესთავაზა და მიუხედავად სხვა, ძვირადღირებული შემოთავაზებებისა, ქართველი ცენტრი ოკლენდურ გუნდში გადავიდა.

რაც ტეხასიდან წავიდა, ფაჩულია პირველად ჩავიდა დალასში და გოლდენ სტეიტს გამარჯვებაში დაეხმარა. ქართველმა ცენტრმა დალასელებთან შეხვედრაში მნიშვნელოვან ზღურბლს გადააბიჯა – ეს მატჩი 1.001-ე იყო ნბა-ს 13-წლიან კარიერაში. ზაზას რეგულარული ჩემპიონატის 950 და პლეი ოფის 51 მატჩი აქვს ჩატარებული ნბა-ს 5 გუნდის – ორლანდოს, მილუოკის, ატლანტას, დალასისა და გოლდენ სტეიტის შემადგენლობაში.

ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო. ზაზამ 14 წუთი ითამაშა და 3-დან სამივე ორქულიანი ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა შეხვედრა 6 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა. დალასელებმა სტუმრებს მხოლოდ პირველ პერიოდში აჯობეს, რომელიც 30:28 მოიგეს. მეორე მეოთხედიდან ინიციატივა ოკლენდელებმა მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე უკვე 12 ქულას იგებდნენ. გოლდენ სტეიტმა საბოლოოდ 112:87 იმარჯვა.

დალასში წარმატება ოკლენდელებისთვის ზედიზედ მე-6 გამარჯვება იყო, რამაც ფაჩულიას გუნდს ლიდერობა გაუმყარა. გოლდენ სტეიტს უკვე 57 მოგება და 14 მარცხი აქვს.

მომდევნო მატჩს უორიორსი შინ, თანაშტატელ საკრამენტოსთან გამართავს.

ზედიზედ მეორე მატჩია, თორნიკე შენგელია ბასკონიას სასტარტო ხუთეულშია და ორჯერვე შედეგიანობით გამოირჩა.

ტრავმის მოშუშების შემდეგ შენგელია პირველად ცსკასთან ევროლიგის მატჩში გამოჩნდა სასტარტოში და თავის გუნდს ევროპის გრანდი დაამარცხებინა. არმიელებთან მატჩის შემდეგ თორნიკე ევროლიგის ტურის სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს.

მეორედ კი შენგელიამ ბასკონიას ისევ ევროლიგის მატჩში ულიდერა და ბამბერგის დამარცხებაში დაეხმარა – 96:71.

თორნიკემ 25 წუთში 16 ქულა, 12 მოხსნა (4 შეტევაში) და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 12-დან 8 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი და საჯარიმო კი ააცილა.

ქართველმა ფორვარდმა ორმაგი დუბლი პირველივე ტაიმში შეასრულა, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 22-ს გაუტოლდა, რითაც ის ორივე გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ჩეიზ ბადინგერს ჩამორჩა. ბასკონიას ამერიკელმა ლეგიონერმა მატჩი 17 ქულით, 5 მოხსნით, 3 პასითა და 2 ჩაჭრით დაასრულა.

შენგელიას გუნდს 16 მოგება და 11 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას კი შინ, ათენის პანათინაიკოსის წინააღმდეგ გამართავს.

# ქართული ჰიმნი რუმინეთში – მადიევი ევროპის ჩემპიონია



რუმინეთის ქალაქ ბრაილაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 22 წლამდე მოკრივეთა შორის, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებმა ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

ესკერხან მადიევი ევროპის ჩემპიონი გახდა – 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე თბილისელმა სპორტსმენმა ფინალში რუსი ვლადისლავ სავოსტიანოვი დაამარცხა. ოქროს მედლისკენ სავალ გზაზე მადიევმა ჯერ ბულგარელ მოწინააღმდეგეს აჯობა, შემდეგ მასპინძელთა წარმომადგენელი დაამარცხა, მეოთხედფინალში ინგლისელ ფაილ კარლს სძლია, ხოლო ნახევარფინალში გერმანელი პაულ ვოლის მოუგო.

ფინალში იბრძოლა 64 კილოში მონაწილე ლაშა გურულმაც, რომელმაც ინგლისელი ლუკ მაკორმიკის წინააღმდეგ ღირსეულად იბრძოლა, თუმცა საბოლოოდ მსაჯებმა გამარჯვება ბრიტანელს მიაკუთვნეს და გურულიც ვერცხლის მედლის მფლობელი შეიქნა.

ფინალამდე გურულმაც 4 მეტოქე დაამარცხა: სასტარტო დუელი რუს მეტოქეს მოუგო, რის შემდეგაც ნორვეგიელი, რუმინელი და იტალიელი მოკრივეებიც დაამარცხა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მეომარი ზაზა ფაჩულია მამის სულის მატარებელია

ზაზა ფაჩულია ამერიკაში ერთგვარი პოპულარობით სარგებლობს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენებური ლამის „ყველა ვარსკვლავის" მატჩში მოხვდა.

იქაურმა ჟურნალისტმა ფაჩულიას ოჯახისა და მისი კარიერის შესახებ საინტერესო ჩანახატი შექმნა, რომელიც ქართველი მკითხველისთვის დიდად საინტერესო უნდა იყოს.

დავით ფაჩულია 39 წლისა იყო, როდესაც მშობლიურ თბილისში დატოვა ყველა, მეუღლე, დედა, სამსახური და სტამბოლში ორსაწოლიან ბინაში გადავიდა. იქ თავის თინეიჯერ შვილთან ერთად ცხოვრობდა.

მიზეზი მარტივი იყო, მაგრამ ძნელი შესასრულებელი – დახმარებოდა ზაზას, 14 წლის შვილს, თურქულ გარემოსთან, იქაურ კალათბურთთან შეგუებაში და ოცნებების ახდენაში. ოცნება კი მეტად თამამი იყო – ნბა. 1998 წლის გაზაფხულზე დავითი ჭაბუკი შვილის არც ვარჯიშებს აცდენდა და არც თამაშებს, აქტიურად იყო ჩართული ზაზას სპორტულ ცხოვრებაში. იყო შემთხვევა: როდესაც შვილს მეტოქეებთან ჩხუბი მოუვიდა, მამა კინაღამ მოედანზე შევარდა...

**ზაზა ფაჩულია:**

– თურქეთში წასვლამდეც ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, თუმცა სტამბოლში მამაჩემთან კიდევ უფრო ახლოს მივედი. ჩვენ ხომ ორნი ვიყავით, 2 ქართველი დიდ ქალაქში.

მამა-შვილი სტამბოლში დიდი ხნით აპირებდნენ დარჩენას. თუმცა ულქერიდან საზაფხულო არდადეგებისას თბილისში რომ დაბრუნდნენ, დავით ფაჩულია ექიმთან რიგითი ვიზიტისას გულის შეტევით გარდაიცვალა. მას შემდეგ 20 წელი გავიდა, ფაჩულია გოლდენ სტეიტ უორიორსთან ერთად საჩემპიონო მარათონში ჩაერთო, თუმცა მამამისზე მაინც ყოველდღიურად ფიქრობს.

რასაც მამა და შვილი სტამბოლის ბინაში ისახავდნენ, რეალობად იქცა. საქართველოს ნბა-ში ერთადერთი კალათბურთელი ჰყავს და 3.7 მილიონი ქართველის სათაყვანებელი ადამიანია. ზაზა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდის სასტარტო ხუთეულშია „ოლ სტარის" 4 მონაწილესთან ერთად. ფაჩულიას ახლაც ჰყავს თანამგზავრები – შვილები დაჰყვებიან ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ვარჯიშებზე, თამაშებზე...

**თიკა ფაჩულია, ზაზას მეუღლე:**

– ზაზასთვის დღევანდელი სიტუაცია სახალისოა, თუმცა ვიცი, ჰქონდა ძალიან მძიმე დრო. ძალიან უნდა მამამისიც მის გვერდით იყოს.

1989 წლის 10 აპრილს 5 წლის ზაზა ფანჯრიდან ხედავდა, როგორ გამოფინეს მეზობლებმა შავი დროშები მწუხარების ნიშნად. წინა დღით ანტი-საბჭოთა აქცია ტანკებმა სისხლით ჩაახშეს და 19 ადამიანი დაიღუპა, ასეულობით დაშავდა.

პატარა ზაზასთვის, ისევე, როგორც მისი თანამემამულეებისთვის, ეს ტრაგედია საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების საფუძვლად, 2 წლის შემდეგ კი დამოუკიდებლობის მოპოვების საწინდრად იქცა. ახალი სახელმწიფო დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მუდმივი წყალი და ელექტროობა ფუფუნების საგნად იქცა.

ფაჩულიას ესმოდა, რომ უკეთესი ცხოვრებისთვის აუცილებელი იყო სწავლაზე კონცენტრირება. მისი მშობლები ყოველწლიურად 500 დოლარს იხდიდნენ სულეიმან დემირელის კოლეჯში სწავლისთვის. იმხანად ეს იყო თბილისში ერთ-ერთი იშვიათი კერძო სკოლა. მაშინ საქართველოში შეფასების 5-ბალიანი სისტემა მოქმედებდა და ზაზასთვის 5-ზე დაბალი ნიშანი არ არსებობდა.

ერთ დილას, 8 წლის ბავშვს, მშობლების ოთახიდან კამათის ხმა შემოესმა. დედა და მამა შვილის მომავალზე ვერ თანხმდებოდნენ. მამა ძიუდოისტი იყო და სურდა შვილიც მის გზას გაჰყოლოდა, დედა კი, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ასაკის კალათბურთელთა ნაკრებში ფორვარდად თამაშობდა. მეორე დღეს დედამ ზაზას 2 სურათი მიუტანა. ერთი ტანმაღალი, მხარბეჭიანი კალათბურთელისა, მეორე – მოჭიდავისა.

– ოჯახური ბრძოლა დედამ მოიგო, იოლად მოიგო, სულ რაღაც 3-4 წუთში.

1998 წლის ზამთარში, ერთ მშვენიერ დღეს, ზაზა სასწავლებლის დირექტორის კაბინეტში დაიბარეს. მას იქ თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ელოდა. თურმე, დასვენებაზე გამოსული 14 წლის ტანმაღალი ბიჭი რომ დაუნახავს, მისი ვინაობით დაინტერესებულა. ზაზამ კოლეჯის ეზოშივე ჩააბარა საჭირო ტესტი და რამდენიმე დღის შემდეგ ულქერსპორის გენერალური მენეჯერის ასისტენტისგან საკონტრაქტო შეთავაზება მიიღო. სტამბოლელები პერსპექტიულ ქართველს ულქერის ახალგაზრდულ გუნდში ჩარიცხვას ჰპირდებოდნენ, ბინის, სწავლისა და კვების პრობლემა არ შეგექმნებაო.

მშობლები უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში შვილს მარტოს ვერ გაუშვებდნენ. ერთ-ერთს სამსახური უნდა დაეტოვებინა. ეს დავით ფაჩულიამ გააკეთა, რომელიც მანამდე ავტობუსზე მუშაობდა.

როგორც უკვე გითხარით, 5 თვის განმავლობაში დავითი ზაზაზე არანაკლები ულქერელი გახდა. შვილი მამას კითხვას კითხვაზე უსვამდა, გოგონების თემით დაწყებული, წვერის გაპარსვით დამთავრებული. როდესაც იგი სკოლაში იყო, დავითი თურქულს სწავლობდა, რათა გაიოლებოდა ახალ სამსახურში ადაპტაცია. მას ხომ თურქები შოკოლადის ფაბრიკაში მოწყობას ჰპირდებოდნენ, რომელიც ულქერის მეპატრონეს ეკუთვნოდა.

– მამა მელაპარაკებოდა ოჯახზე, ხალხის პატივისცემაზე, ყველაფერ კარგზე... მასწავლა, როგორი უნდა იყოს კაცი.

ნბა-ში გატარებული 14 წლის განმავლობაში ქართველმა ცენტრმა 5 გუნდი მოიარა და ისწავლა, როგორ შეუთავსოს ოჯახური ცხოვრება საკალათბურთოს. დავითი და საბა სკოლიდან მოცალეობის ჟამს მამის გვერდით გოლდენ სტეიტის სავარჯიშო დარბაზში მიდიან, თავადაც ტყორცნებზე ვარჯიშობენ და თან ვარსკვლავებს აკვირდებიან – კევინ დურანტისა და სტეფ კარისგან უამრავი რამის სწავლა შეიძლება.

ზაზა ფაჩულიაც სწავლობს: ბოლო 4 წლის განმავლობაში საზაფხულო გაკვეთილები გაიარა ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის კელოგის მენეჯმენტის სკოლაში, ემორის უნივერსიტეტის გოიზუეტას ბიზნეს-სკოლაში და ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში. დილის ვარჯიშისა და შუადღის დასვენების შუალედში იგი ტელეფონით ხშირად მართავს კონფერენციებს თავის ბიზნეს-პარტნიორებთან. დედა, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ეხმარება 2 სასტუმროს მართვაში.

ფაჩულიას სამშობლოში საკუთარი აკადემიაც აქვს, სადაც 500 ბავშვი ვარჯიშობს. აკადემია სწორედ იმ კომპლექსშია, სადაც თავად ზაზამ დაიწყო კალათბურთის თამაში. მაშინ იატაკი ისეთ მდგომარეობაში იყო, ბურთი ალაგ-ალაგ ვერც ხტუნავდა, გათბობის სისტემის არქონის გამო მომავალი კალათბურთელები ქუდითა და ხელთათმანებით ვარჯიშობდნენ.

დღეს უკვე კომპლექსი 4 საკალათბურთო მოედნისგან შედგება, კეთილმოწყობილი გასახდელებისგან, მოსაცდელისგან, სასადილოსა და სასტუმროს ტიპის ოთახებისგან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზაზამ მილუოკის „ბრედლი სენთერის" პარკეტი შეიძინა და სამშობლოში გემით 267 ნაწილად დაშლილი ჩაიტანა.



– მამაჩემმა თურქეთში ჩემთან ერთად გაიზიარა ოცნება ნბა-ზე. ყოველივე, რასაც დღეს მივაღწიე, რა გზაც გავიარე, სწორედ მისთვისაა...

სტამბოლიდან თბილისში 2 კვირის დაბრუნებული იყო. 1998 წლის 30 ივნისს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ვარჯიშიდან შინ მისულს არავინ დახვდა. კარი დაკეტილი იყო. მეზობლის ბავშვებთან თამაშით გაერთო, ვიდრე დედამისმა მეგობრის მანქანით საავადმყოფოსკენ არ გააქანა.

15 წლის თავზე, რაც სპორტული კარიერა დაასრულა, დავითმა სიგარეტის მოწევა დაიწყო. დღეში კოლოფზე მეტის მომხმარებელი იყო. იგი წამლებს იღებდა, რადგან გულის 2 შეტევა ჰქონდა გადატანილი. როგორც შემდეგ გაირკვა, 30 ივნისს დავით ფაჩულიამ თავის ექიმს მიაკითხა, მესამე სართულზე ადიოდა, როდესაც გულმა უმტყუნა. ექიმების ყოველგვარმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

ზაზას ულქერსში 3 კვირის შემდეგ ელოდნენ, მაგრამ ბავშვს ერთადერთი საფიქრალი ჰქონდა, როგორ მოევლო დედისთვის. უთხრა კიდეც – კალათბურთს თავს ვანებებ, რადგან ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი შენი ჯანმრთელობააო.

ულქერის ხელმძღვანელებმა ფაჩულიას ხელფასი იმდენად გაუზარდეს, რომ შეძლებოდა ოჯახის სტამბოლში შენახვა. დედამ უარი თქვა პედიატრიულ საქმიანობაზე და შვილთან ერთად სტამბოლში გაემგზავრა.

– გადაწყვეტილი მქონდა, ჩემი ოცნება მიმეტოვებინა და დედას გვერდში დავდგომოდი, მაგრამ მან არ დამანება.

2 წლის განმავლობაში ფაჩულია ნელ-ნელა უშინაურდებოდა ულქერის პირველ გუნდს. მისი სათამაშო მონაცემები მალევე მოექცა სკაუტების ყურადღების არეალში. 2003 წლის დრაფტზე 19 წლის ზაზა ორლანდო მეჯიქმა 42-ე ნომრად აიყვანა.

ხუთი ქართველიდან, რომლებსაც ნბა-ში უთამაშიათ, ფაჩულიას განსხვავებული, ხანგრძლივი კარიერა აქვს. თბილისის ცივ დარბაზებში ვარჯიშით მიღებული გამძლეობით, ბრძოლისუნარიანობით, იგი ნაციონალური ლიგის ერთ-ერთ ყველაზე გაუვალ ცენტრად იქცა.

ქართველთა წყალობით მან „ოლ სტარის" გამოკითხვაში ხმების ის რაოდენობა მიიღო, ბოლო 2 სეზონში ვარსკვლავთა მატჩს ძალიან რომ მიაახლოვა. თუმცა არაორდინალური რამ მაინც არ მოხდა – 7.1 ქულისა და 6 მოხსნის მქონე კალათბურთელი „ოლ სტარში" ვერ მოხვდა.

გასულ ზაფხულს, რამდენიმე სარფიან კონტრაქტზე უარის თქმის შემდეგ ფაჩულიამ გოლდენ სტეიტთან ერთწლიანი, 2.9 მილიონ დოლარიანი ხელშეკრულება გააფორმა. ეს ხომ შანსი იყო, გამხდარიყო პირველი ქართველი ნბა-ს ჩემპიონი. გამარჯვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ იგი ოჯახზე ორიენტირებულ ორგანიზაციაში აღმოჩნდა.

სეზონის დასაწყისში მთავარმა მწვრთნელმა სტივ კერმა ზაზას ორივე ვაჟი გუნდის გასვლით ტურნეზე დაპატიჟა. ეს გახლდათ გრეგ პოპოვიჩის მიერ სან ანტონიოში დამკვიდრებული პრაქტიკა, სადაც სტივ კერი 2000-იანების დასაწყისში თამაშობდა. შვილებთან ერთად უცხო ქალაქების საკალათბურთო დარბაზებში მოგზაურობა ზაზას იმ 5 თვეს ახსენებს, მამასთან ერთად სტამბოლში რომ გაატარა.

– მალე მოვა დრო, როცა შვილებს ამ ისტორიას მოვუთხრობ, – ამბობს ზაზა ფაჩულია.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რატომ ვითარდება აკნე

ეკა ირემაშვილი

როგორ დავაღწიოთ თავი ჩირქოვან გამონაყარს – აკნეს? რა კავშირი აქვს აკნეს გინეკოლოგიასთან? – ვისაც არ აწუხებს აკნეს პრობლემა, მათთვის რთულია წარმოდგენა, თუ რაოდენ დიდ ემოციურ სტრესთან არის იგი დაკავშირებული, რამდენად აქვეითებს პიროვნების თავდაჯერებულობას და რას ნიშნავს მუდმივი, დაუსრულებელი ბრძოლა „გლუვი, ლამაზი კანისათვის“.

კოსმეტიკური სამყარო თითქოს გვთავაზობს ფართო არჩევანს აკნეს სამკურნალოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ... რადგან აკნე არ არის მხოლოდ კანის ადგილობრივი პრობლემა და მას ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს.

რა არის აკნე, რატომ და როგორ ვითარდება, რა უნდა გავაკეთოთ აკნეს სამკურნალოდ, ამ თემაზე კლინიკა'„ინ ვიტროს“'რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი ქეთევან კაკაშვილი საუბრობს.

**ქეთევან კაკაშვილი:**

***– აკნე კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ანთებითი დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანისა და თმის ცხიმიანობის მატება, კანზე შავი და თეთრი – დახურული და ღია ფერიმჭამელებისა და ჩირქიანი გამონაყარის არსებობა.***

აკნე განსაკუთრებით მოზარდთა პრობლემაა, თუმცა მოზრდილების – როგორც ქალების, ასევე მამაკაცების, არცთუ მცირე ნაწილი უჩივის აღნიშნულ დაავადებას.

***– რატომ ვითარდება აკნე და რა კავშირი აქვს მას გინეკოლოგიასთან?***

– ხშირ შემთხვევაში აკნე კანის იზოლირებული დაავადება ჰგონიათ და არცთუ იშვიათად უკავშირებენ გარკვეული საკვების, მაგალითად, თხილეულის და ა.შ. მიღებას, კუჭ-ნაწლავის სისტემის ფუნქციის დარღვევას. თუმცა რეალურად მისი განვითარება დაკავშირებულია სასქესო ჰორმონებთან, კერძოდ, ანდროგენების – მამაკაცის ტიპის ჰორმონების მატებასთან, რომლებიც წარმოადგენენ აკნეს განვითარების მთავარ და გამშვებ მექანიზმს. სწორედ ამიტომ აკნე გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის ჭრილში განიხილება.

***– როგორ ვითარდება აკნე?***

– კანის თმის ფოლიკულები შეიცავენ დიდი რაოდენობით ცხიმოვან ჯირკვლებს, რომლებიც ნორმაში გამოიმუშავებენ ცხიმს, რაც განაპირობებს კანის სირბილესა და სინოტივეს. აღნიშნული ცხიმოვანი ჯირკვლები ანდროგენებით ჭარბი სტიმულაციის შედეგად, რომელიც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, იწყებენ ცხიმის გაძლიერებულ გამომუშავებას, რაც იწვევს კანის ფოლიკულის გაფართოებას, ცხიმოვან სეკრეტში გარქოვანებული უჯრედების დაგროვებას, შედეგად ფოლიკულის არხში „საცობის“ წარმოქმნას, რაც იწვევს კომედონის ანუ ფერიმჭამელას ჩამოყალიბებას, რომლის დაჩირქების შედეგად ვითარდება ჩირქოვანი გამონაყარი ანუ აკნე.



ქეთევან კაკაშვილი

***– შეიძლება თუ არა აკნე გამწვავდეს?***

– დაავადებას ახასიათებს გამწვავება-რემისიებით მიმდინარეობა და ხშირ შემთხვევაში კანზე ტოვებს არასასურველ, ძნელად მოსაშორებელ ნაწიბურებს.

***– რა არის კანის ცხიმოვანი ჯირკვლების ანდროგენებით – მამაკაცის ტიპის ჰორმონების ჭარბი სტიმულაციის მიზეზი?***

– მიზეზი გახლავთ ანდროგენების ჭარბი რაოდენობით გამომუშავება და ან კანის ფოლიკულების მომატებული მგრძნობელობა ანდროგენების მიმართ.

ანდროგენების ჭარბი წარმოქმნა აღინიშნება საკვერცხეებისა და თირკმელზედა ჯირკვლების გარკვეული დაავადებების დროს, ვინაიდან ქალის ორგანიზმში ანდროგენები ძირითადად ამ ორ ენდოკრინულ ჯირკვალში გამომუშავდება, ხოლო კანის ფოლიკულების მომატებული მგრძნობელობა ანდროგენების მიმართ გენეტიკურად არის განპირობებული და დაკავშირებულია ანდროგენული რეცეპტორების რაოდენობის მატებასთან.

***– რა უნდა გავაკეთოთ აკნეს სამკურნალოდ?***

– პირველ რიგში, აუცილებელია დროულად მივმართოთ ექიმს, რომ ავიცილოთ ნაწიბურების წარმოქმნა კანზე.

ეფექტური მკურნალობის აუცილებელი წინაპირობაა სწორი დიაგნოზის დასმა, რათა დადგინდეს აკნეს გამომწვევი მიზეზი, რისთვისაც ძირითადად ტარდება სისხლის ჰორმონული ანალიზი და ულტრასონოგრაფიული კვლევა, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება დამატებითი კვლევები.

სასურველი ეფექტის მიღებისთვის კი აუცილებელია კომპლექსური მკურნალობა, რომელიც მოიცავს ანდროგენების ჭარბი სეკრეციის ნორმალიზებას, ანდროგენებისადმი კანის მგრძნობელობის დაქვეითებას, ანთების საწინააღმდეგო მკურნალობას როგორც სისტემურად, ასევე ადგილობრივად.

***– რა უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა, ვისაც აკნე აწუხებს?***

– გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ადგილობრივი ანტიბიოტიკოთერაპია, რასაც მიმართავს აკნეთი დაავადებული ადამიანების უმრავლესობა ექიმთან მისვლამდე, არაეფექტურია, სწორედ ამიტომ, იგი არ ახდენს გავლენას აკნეს გამომწვევ მიზეზზე და შესაძლოა გაართულოს კიდეც მდგომარეობა ანტიბიოტიკებისადმი კანის მგრძნობელობის დაქვეითების გამო.

ასე რომ, აკნეს პრობლემა სრულად დაძლევადია, თუ მას მივუდგებით სწორად და დროულად.

სპორტი

# კილიან მბაპეთი გრანდები დაინტერესდნენ




ფრანგული მონაკოს რიგებში გამორჩეულ სეზონს ატარებს კილიან მბაპე. ახალგაზრდა თავდამსხმელი საინტერესო რეკორდის მფლობელიც გახდა – მბაპე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია ლიგა 1-ში ბოლო 30 წლის განმავლობაში, ვინც გატანილი გოლების რაოდენობით ორნიშნა ციფრს უწია. მბაპე ამჟამად 18 წლის და 2 თვისაა.

სხვათა შორის, მბაპეს, რომელიც ტექნიკურობით გამოირჩევა, საფრანგეთში ახალ ტიერი ანრის ეძახიან – ლეგენდარულ თანამემამულეს იგი თამაშის სტილით და გარეგნობითაც ჰგავს.

გასაკვირიც არ არის, რომ მბაპე ევროპულ პრესაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი გახდა.

მარტო მადრიდში მბაპესთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია ვრცელდება. კერძოდ, რეალის ხელმძღვანელობა მონაკოს ფორვარდის შეძენით დაინტერესდა.

თუმცა, რატომ მარტო რეალი? მისი შეძენით სხვა გრანდები დაინტერესდნენ. მიუნხენის ბაიერნი, დორტმუნდის ბორუსია და მანჩესტერ იუნაიტედი – ეს ის გუნდებია, რომლებიც რეალის მსგავსად, ახალგაზრდა ფეხბურთელის შესაძენად იბრძვიან.

თუმცა, ევროპულ მედიაში იმასაც აღნიშნავენ, რომ რეალისა და მონაკოს ურთიერთობები განსაკუთრებულად კარგია, ამიტომ სწორედ მადრიდელებს აქვთ მბაპეს შეძენის უპირატესობა.

ამასთან ერთად ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნდა ფოტოები, რაც ადასტურებს, რომ მბაპე „სამეფო კლუბის“ დიდი ქომაგია.

რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი კი ახალგაზრდა ფეხბურთელში კრიშტიანო რონალდუს შემცვლელს ხედავს. მბაპეს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სწორედ აქედან გამომდინარე, ფლორენტინო პერესი ნებისმიერ თანხას გადაიხდის და სხვაგან არ გაუშვებს.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მონაკო მბაპეს სანაცვლოდ 110 მილიონ ევროს ითხოვს.

მბაპეს გარდა, რეალის ხელმძღვანელობა მონაკოს კიდევ ერთ უნიჭიერეს შემტევს, ბერნარდო სილვას აკვირდება. სილვა შესანიშნავ ტექნიკას ფლობს და მასაც არაერთი გრანდის ყურადღება აქვს მიქცეული. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბერნანდოს სანაცვლოდ ბაიერნი 81 მილიონ ევროს იხდის.

ბერნარდოს შესახებ რეალს შეთავაზება ჯერჯერობით არ გაუკეთებია, მაგრამ ვრცელდება ინფორმაცია, რომ პერესი სილვას დამატებაზე იმ შემთხვევაში იფიქრებს, თუ მბაპეს ტრანსფერი ჩაიშლება.

# მესის შეძენა სიტის სურს, ბარსელონა არგენტინელს ვერ თმობს

მანჩესტერ სიტის ხელმძღვანელობამ საზაფხულო ტრანსფერებისთვის 230 მილიონი ევრო გამოყო. გარდა ამისა, სიტი რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვას აპირებს და მიღებულ თანხასაც ასევე ახალი ფეხბურთელების შესაძენად დახარჯავს. კლუბის მთავარი სატრანსფერო მიზანი ბარსელონას თავდამსხმელი, ლიონელ მესი გახდება.




სიტი სერხიო აგუეროს გაშვებას აპირებს, რომელმაც ჟესუსის მისვლის შემდეგ ძირითადში ადგილი დაკარგა და შემადგენლობაში მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ბრაზილიელმა ტრავმა მიიღო.

ამ ხმებს ისიც ამძაფრებს, რომ არგენტინელს ბარსელონასთან კონტრაქტი დღემდე არ გაუხანგრძლივებია. მესის უფრო მაღალი ხელფასი სურს და ბარსელონა მზადაა, მისი პირობები მიიღოს, თუმცა კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაფორმებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამის განხილვა ჯერ კიდევ 2016 წლის ზაფხულში დაიწყო.

როგორც ირკვევა, სიტისთვის სავალალოდ, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები ძალიან კარგად მიდის. იგეგმება, რომ ოფიციალური განცხადება სეზონის ბოლოს გაკეთდება. ხორხე მესი თავისი შვილის ინტერესებს წარმოადგენს, ბარსელონას მხრიდან მოლაპარაკებებში კი თავად პრეზიდენტი ხოსეპ ბართომეუ იღებს მონაწილეობას.

ამ მომენტისთვის, მხარეებს შორის არანაირი დაძაბულობა არაა, რამაც წინა მოლაპარაკებების დროს იჩინა თავი. მესის ბარსელონაში დარჩენა სურს, კლუბი კი ლიდერის შესანარჩუნებლად მთელი ძალისხმევის გაღებას აპირებს.

ესპანურმა პრესამ მესის ახალი კონტრაქტის ფინანსური პირობების დეტალები გაარკვია – არგენტინელის ხელფასი 40 მილიონ ევრომდე გაიზრდება, რაც მას მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად გახდის.

გარდა ამისა, ფეხბურთელსა და კლუბს შორის შეთანხმების მიღწევა, ახალი კონტრაქტის გაფორმების გამო, ბონუსსაც გულისხმობს, რომელიც ასევე 40 მილიონ ევროს შეადგენს.

# ასტროპროგნოზი

## 23 მარტისათვის



**ვერძი** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურდება. ჩანაფიქრის რეალიზაციას მშვენივრად მოახერხებთ. **კურო** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გეზრდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **ტყუპები** – შესაძლოა, გეგმები ძირფესვიანად შეგეცვალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებთან მიმართებით. **კირჩხიბი** – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **ლომი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდეთ. **ქალწული** – რთული საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. თუ რამეს გადაწყვეტთ, კიდეც შეასრულეთ. **სასწორი** – შეხვედრებისა და კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. გარშემომყოფების ღირსებები სათანადოდ დააფასეთ. **მორიელი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მშვილდოსანი** – ეს დღე ძალიან წარმატებულია მამაკაცებისათვის. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – საქმის გარჩევები კონფლიქტამდე მიგიყვანთ. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. **მერწყული** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **თევზები** – დეპრესიას გასაქანს ნუ მისცემთ. ეცადეთ, საქმით დაკავდეთ. მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია უსიამოვნო იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 2. ცხვირის ღრუს ანთება; 3. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 5. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ფრანგ კინოვარსკვლავ ჟან რენოს ნამდვილი გვარი; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 14. საათის მექანიზმი; 15. უღელტეხილი აჭარაში; 19. მდინარე კახეთში.

**თარაზულად:** 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი, იერუსალიმის მახლობლად; 7. სამშობიარო სახლის ძველებური სახელწოდება; 9 სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 12. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი შლაპა; 16. პოლონელი კომპოზიტორი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 18. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შუკა; 2. ემუ; 3. „კაპიტალი“; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. ბობი; 7. „ბენფიკა“; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. ქერი; 16. ჰუმუსი; 18. ენოლოგი; 19. ელარჯი; 21. ლეღვი; 24. ტემპი.

**თარაზულად**: 1. „შარდონე“; 3. კვარცი; 8. „ბოჟოლე“; 9. კოხი; 14. ფლეში; 15. ტენორი; 17. ჭონა; 20. ლენგლი; 22. ლონჟა; 23. ლაისტი; 25. ფხა; 26. „უშბა“; 27. ალია; 28. მოლდავეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ანდები; 2. „სოკარი“; 3. რაუტი; 5. ცანა; 6. ნიკორა; 8. სტურუა; 11. სენკევიჩი; 13. ბროკერი; 14. კაბერნე; 15. ნიგერია; 19. ნიცა.

**თარაზულად**: 1. „ალადასტური“; 4. ბარცინო; 7. დამასკო; 9. ტერტერა; 10. „ოსერი“; 12. პირამიდა; 16. „ხანჯლური“; 17. ბოჰემია; 18. „პერგამონი“; 20. „ჩამპინო“; 21. ფიტი; 22. ანოტაცია.

# სერიალი „შუა ქალაქში" დახურეს



ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სერიალი „შუა ქალაქში" დახურეს.

„ღამის შოუს სტუდიის" ნაწარმოები ეთერში 10 წლის განმავლობაში გადიოდა და მისმა თითოეულმა პერსონაჟმა, იქნებოდა ეს მთავარი თუ მეორეხარისხოვანი, მაყურებელს თავი განსაკუთრებულად შეაყვარა.

ირაკლი და მარიკა ჩხეიძეები, დები ღლონტები, ლაშიკო, ვახო, დათო, ანანო, სანდრო და სხვა გმირების ეკრანზე გამოჩენას მაყურებელი ყოველ საღამოს მოუთმენლად ელოდა.

მაღალრეიტინგული სერიალის 10-წლიანი ისტორია მოულოდნელად დასრულდა. ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა თამუნა ნიკოლაძემ გაავრცელა:

– ფანატიკურად არავინ და არაფერი შეიყვაროთ.!!! დასასრული უფრო მარტივი, შეგნებული და გააზრებული იქნება.!!! მშვიდობით „შუა ქალაქში". 23.09.2007.-–– 21.03.2017. საწყენია, მოულოდნელად 10 წლის შრომა რომ მთავრდება.

# მაგდა ვასაძე „იქს ფაქტორში" მონაწილეობს



„იქს ფაქტორის" მეოთხე სეზონის ჩანაწერები დასრულდა. ჟიურის წევრებმა ლელა წურწუმიას, სოფო ნიჟარაძის, სტეფანეს და გიორგი გაბუნიას შემადგენლობით, კონკურსანტებს მოუსმინეს და მათი პროექტში ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყვიტეს.

კონკურსანტთა შორის ბევრი ახალი სახეა, მათთან ერთად კი „იქს ფაქტორის" გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად მსმენელისთვის უკვე კარგად ცნობილი მომღერლებიც მონაწილეობენ. პროექტის პროდიუსერები წინასწარ არ ასაჯაროვებენ ინფორმაციას იმ ცნობილი ადამიანების შესახებ, რომლებიც შოუში მონაწილეობენ, თუმცა ცნობილი გახდა, რომ მათ შორის ერთ-ერთი მაგდა ვასაძეა. მან პროექტში მონაწილეობის ამსახველი ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა. მაგდა მსმენელმა „ქართული ხმიდან" გაიცნო, სადაც ბრმა ქასტინგზე ყველა მწვრთნელი მოხიბლა და გამარჯვებისთვისაც ღირსეულად იბრძოლა.

„ქართული ხმის" შემდეგ მაგდას ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, იგი გუფი ლენდის სოლისტი გახდა და ბათუმიდან სამუშაოდ თბილისში გადმოვიდა.

როგორც ჩანს, მაგდა მიღწეულით არ კმაყოფილდება და საკუთარი თავისგან უფრო მეტს მოითხოვს. მაგდამ „იქს ფაქტორის" მეოთხე სეზონში მიიღო მონაწილეობა, აქაც ჟიურის ოთხივე წევრი მოხიბლა და მათგან არა მარტო სრულიად დამსახურებული 4 „კი" მიიღო, არამედ ლელაც, სოფოც, სტეფანეც და გიორგიც მომღერალს ფეხზე წამოუდგნენ და სცენაზეც კი ავიდნენ, რომ წარმატებული გამოსვლა მიელოცათ.

# ზურა მანჯავიძემ თამადობის და სადღეგრძელოების შესახებ ლექცია ჩაატარა



ჯგუფ „ფორტეს" წევრმა, მომღერალმა ზურა მანჯავიძემ თამადობისა და სადღეგრძელოების შესახებ ლექცია ჩაატარა. შეხვედრა ტურიზმის სკოლაში შედგა და ამის ამსახველი ფოტომასალა სკოლამ გაასაჯაროვა.

ტურიზმის სკოლის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გიდი, რომელიც ტურისტებს ემსახურება, უნდა ჰქონდეს ცოდნა თამადობისა და სადღეგრძელოების შესახებ. ამიტომაც ამიერიდან გიდები საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს ქართული ისტორიის და ღირსშესანიშნაობების გარდა, ქართული სუფრის ტრადიციების შესახებაც მიაწვდიან ინფორმაციას.

– ტურიზმის სკოლის მსმენელებს ჩაუტარდათ მეტად საინტერესო ლექცია ქართული სუფრის ტრადიციული გაძღოლის შესახებ, მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, თამადის როლზე და სადღეგრძელოების წარმოთქმის კულტურაზე. მიგვაჩნია, რომ გიდები ინფორმაციას ამის შესახებაც აუცილებლად უნდა ფლობდნენ, – აცხადებენ ტურიზმის სკოლაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კახაბერი დიზაინერი გახდა



მომღერალმა კახაბერ ცისკარიძემ მუსიკოსობას, მომღერლობას და პროდიუსერობას ახალი პროფესია შეუთავსა. იგი დიზაინერი გახდა და თავისი ახალი კოლექციაც უკვე მზად აქვს.

კახაბერის სამოსის კოლექციის პრეზენტაცია პირველ აპრილს სასტუმრო „ბილტმორ თბილისში" გაიმართება. ჩვენება, რა თქმა უნდა, კახაბერისა და ხანუმების გარეშე არ ჩაივლის.

დეტალებზე წინასწარ საუბარი ახალბედა დიზაინერს არ სურს, ამიტომ ყველას მოუწოდებს, მივიდნენ პრეზენტაციაზე და ყველაფერი თავისი თვალით ნახონ.

კახაბერის სამოსის პრეზენტაციაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეუძლია.

# პატარა დაღეთის ეკლესიაში ნუსხურ წარწერებს ანადგურებენ



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს ნებისმიერი უკანონობა დროულად აღკვეთოს და გაამკაცროს ზომები თვითნებურად წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართ, ქართულ ეკლესიებზე მაინც ხორციელდება სხვადასხვა სამუშაოები თუ განზრახ ჩადენილი ვანდალური ფაქტები.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ავრცელებს ფოტოებს, სადაც ასახულია თეთრი წყაროს რაიონის სოფელ პატარა დაღეთის უძველეს ეკლესიაზე ქართული დამწერლობის წაშლის მცდელობის კვალი.

**დეკანოზი ილია ჭიღლაძე:**

– განგაში!!! ეს საქართველოში ხდება: სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მიერ 2013 წელს მიტაცებულ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ პატარა დაღეთის უძველეს ქართულ ტაძარზე არსებული ძველი ნუსხური წარწერა ნაწილობრივ განადგურებულია მიმტაცებლების მიერ: აღინიშნება ე.წ. ბარგალკის კვალი, რომლითაც წარწერის ნაწილი გადაშლილია. არ ვიცი, რა ძალამ შეაჩერა მტაცებელი, რომ ბოლომდე არ გადაშალა წარწერა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## საერთაშორისო

# შოტლანდია დამოუკიდებლობისთვის ემზადება



შოტლანდიის პარლამენტში დაიწყო დებატები დამოუკიდებლობის საკითხზე ხელახალი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. პრემიერ-მინისტრმა და შოტლანდიის ეროვნული პარტიის ლიდერმა ნიკოლა სტერჯენმა განაცხადა, რომ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე ლონდონთან რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებები მოელის.

თავდაპირველად პარლამენტმა რეფერენდუმის ჩატარებას მხარი უნდა დაუჭიროს. ამით პრემიერ-მინისტრს ეძლევა უფლებამოსილება, რომ ლონდონის წინაშე რეფერენდუმის ჩატარების საკითხი დააყენოს.

შოტლანდიის დამოუკიდებლობას მხარს უჭერს ნაციონალური პარტია, ლეიბორისტები კი წინააღმდეგი არიან და თვლიან, რომ განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება არ არის საჭირო. რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე მხოლოდ შოტლანდიის პარლამენტის გადაწყვეტილება არ არის საკმარისი. აუცილებელია ლონდონისგან სათანადო ნებართვის მიღება. სხვაგვარად რეფერენდუმს იურიდიული ძალა არ ექნება.

# პოლონელები ტუსკს მოღალატეობას აბრალებენ



პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მაცერევიჩმა განაცხადა, რომ ექს-პრემიერი და ამჟამად ევროსაბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკი მოღალატეა.

თავდაცვის მინისტრის აზრით, ტუსკმა ჯეროვნად არ გამოიძია სმოლენსკის კატასტროფა, რომლის დროსაც პოლონეთის პრეზიდენტი კაჩინსკი დაიღუპა.

– მე ოფიციალურად მივმართე პროკურატურას, რათა ტუსკს ბრალი წაუყენონ, – განაცხადა მაცერევიჩმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

შპს „კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დაწესებულების გენერალური დირექტორის მოადგილე, მრავალი წლის განმავლობაში ქ.თბილისის კანისა და ვენსნეულებათა კლინიკური დისპანსერის დირექტორი, ღვაწლმოსილი დერმატო-ვენეროლოგი



**გიორგი (გოგიტა) ქერქაძე**

ვუსამძიმრებთ ბატონ გოგიტას ოჯახს.

70 წლის ასაკში გარდაიცვალა ექიმი დერმატო-ვენეროლოგი

**გიორგი ქერქაძე**

უბრალოდ გოგიტა. მას ყველა ასე იცნობდა და მოიხსენიებდა. 1973 წლიდან ქ. თბილისის კანისა და ვენსნეულებათა კლინიკურ დისპანსერში მუშაობდა, იყო უბრალოდ ექიმიც და ბოლოს კლინიკის დირექტორი, მრავალი დერმატო-ვენეროლოგის გზის გამკვალავი. მის სახელს ბევრი კეთილი საქმე უკავშირდება როგორც პროფესიული, ისე ადამიანური თვალსაზრისითაც.

არ შეიძლება გოგიტა ქერქაძეზე დაიწეროს უბრალოდ ნეკროლოგი. დაიბადა... გარდაიცვალა... მუშაობდა... მას თითქმის მთელი თბილისი იცნობდა. აფასებდნენ, მისი იმედი ჰქონდათ, უყვარდათ.

სიყვარული და ხსოვნა მუდამ დარჩება მისი სახელის მოსახსენიებლად ყველა კოლეგის, მეგობრისა თუ უბრალოდ ნაცნობის გულში.

მწუხარებას კი საზღვარი არ აქვს.

*შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია, კოლეგები, მეგობრები, ნაცნობები*

# სამგლოვიარო განცხადებები

აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა მძიმე დანაკლისი განიცადა. 56 წლის ასაკში გარდაიცვალა ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი

**კახა ბეგაშვილი**



1987 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კახა ბეგაშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა თერაპევტად სასწრაფო დახმარების სამსახურში, 1989 წლიდან, ჯერ თერაპიის ინსტიტუტში, ხოლო 1993 წლიდან აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, სადაც განვლო გზა ექიმ-კარდიოლოგიდან დეპარტამენტის უფროსობამდე.

წლების განმავლობაში მუშაობდა გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში, სადაც მკურნალობდა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს. ძნელი დასათვლელია, თუ რამდენი პაციენტის გადარჩენა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეძლო მან ამ პერიოდში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი პროფესიული მოღვაწეობის უკანასკნელი წლები, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. მისი ხელმძღვანელობით ცენტრის მობილური სამედიცინო ბრიგადები რეგულარულად ჩადიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში და უანგაროდ ატარებდნენ მოსახლეობის პროფილაქტიკურ გასინჯვებს და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობას.

კახა ბეგაშვილი იყო ზედმიწევნით კეთილი ადამიანი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა უკლებლივ ყველა თანამშრომელთან. ის ყოველთვის მზად იყო გვერდში დადგომოდა კოლეგებს კრიტიკულ სიტუაციებში, გაეზიარებინა თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა ექიმებისთვის.

გულისტკივილით ვეთხოვებით ძვირფას კოლეგას და მეგობარს. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

*აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი*

ლეილა ბალბაია თანაუგრძნობს შვილებს – რუსიკო, ასმათ და ედიშერ სამუშიებს დედის

**ეთერ ფიფია-სამუშიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 23 მარტი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**მებრძოლი თევზი**" (მ.რურკი)

**08.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **09.00** დ/ფ "კიდევ სცადე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **11.05** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სისხლი და სალებავი**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.40** გალფის გათამაშება **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია**" **02.15** მხ/ფ "**მკვლელის ტყვია**" **03.45** მხ/ფ "**ჩინური კვარტალი**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" 06.45 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **22.30** ქ. მხ/ფ "**მონანიება**"

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**შემოჭრა**" **00.15** 18+ **01.15** მხ/ფ "**ინფიცირება**" **03.15** მხ/ფ "**რიცხვი 23**"

**06.15** სჯანი-რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულება **06.40** პატერიკი **06.45** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" IV სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** თბილისის ტაძრები "ლურჯი მონასტერი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "66-ე სონეტი, რეზო თაბუკაშვილი" **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი" 1 **17.35** ღვთის სახლი "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა" 2 ნაწ **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ფონდი "წმინდა გაბრიელ ქიქოძე" **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "პატარა მონადირე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** შარავანდედი-ტიციან ტაბიძე, მოსე ჯანაშვილი **21.30** დიდ ხარ შენ უფალო...მოსე VI **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი **00.30** დ/ფ "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" I ნაწ. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 1.20** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50 , 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00, 2.10** "კონტაქტი" **2.30** სერ. "**ქალბატონი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.4816

ევრო — 2.6704

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0812

100 რუსული რუბლი — 4.3181

## ამინდის პროგნოზი 23 მარტისთვის




## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

# დასახვრეტი საქმე




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის“ შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 17 მარტიდან




მიხეილ კვესელავა

# ნიურნბერგის პროცესი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

# ორსულობა და მშობიარობა




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 70 წლის ფიტნესის მოყვარული სპორტის სარგებლობაზე საუბრობს



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა აღიარა, რომ ფიტნესი მას ეხმარება იმაში, რომ 70 წლის ასაკში შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და აქტიურობა.

პეგი გილბერტმა ვარჯიშებზე სიარული 50 წლის ასაკში დაიწყო. 2001 წლიდან ის ბოდიბილდინგში სხვადასხვა შეჯიბრებებში იღებს მონაწილეობას და მრავალ მათგანში საპრიზო ადგილი აქვს დაკავებული. 2014 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მან სისხლსავსე ცხოვრება გააგრძელა და სპორტისთვის თავი არ დაუნებებია. ახლა ის ჯანმრთელ დიეტას იცავს და პერსონალური ტრენინგებითაა დაკავებული.

გილბერტის თქმით, ის მეგობრობს ადამიანებთან, რომლებიც მასზე საშუალოდ 15 ან 20 წლით ახალგაზრდები არიან.

— ასაკის მატების მიუხედავად, უნდა შეინარჩუნო ჯანმრთელობა და სხეულის სილამაზე, ეს კი გეხმარება სიბერეში საკუთარი დამოუკიდებლობის და ბედნიერების შენარჩუნებაში. მე ყოველთვის ჩემ ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდად მთვლიან, — განაცხადა ამერიკელმა პენსიონერმა და იქვე დაამატა, რომ როდესაც მის ნამდვილ ასაკს იგებენ, ადამიანები გაოცებას ვერ მალავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ქმარმა ცოლი ფსიქოლოგთან მიიყვანა და შესჩივლა, რომ უკვე რამდენიმე თვეა, ფიზიკური სიახლოვე არ ჰქონიათ. ექიმმა ქმარი გარეთ გამოუშვა და მის ცოლს ეუბნება:

— აბა, გულახდილად მომიყევი, რაშია საქმე.

— იცით რა, ექიმო, ჩემი ქმარი შემცირებაში მოყვა. შემოსავალი შეგვიმცირდა. ყოველ დილით სამსახურში რომ მივდივარ, ტაქსის ვაჩერებ. მძღოლი მეკითხება: „აბა, როგორ მოვიქცეთ, ფულს გადამიხდი, თუ...!? მე „თუს“ ვირჩევ. ამის გამო სამსახურში მაგვიანდება. უფროსი კაბინეტში მიხმობს და მეკითხება: „სამსახურიდან გაგათავისუფლო, თუ...!? მე, რა თქმა უნდა, თუს ვირჩევ. შემდეგ სახლში მივდივარ და იგივე მეორდება. ბოლოს და ბოლოს, სახლში მისულს მეუღლისთვის ძალღონე აღარ მრჩება. ექიმო, დამეხმარეთ!

— ჰოო! ახლა ეს ყველაფერი თქვენ მეუღლეს მოვუყვე, თუ...!?

•••

ბიჭი გოგოს მორიგი შეხვედრის დროს ეუბნება:

— იცი, ჩვენს ურთიერთობაში პრობლემა წარმოიშვა.

— რა პრობლემა?

— შენი სახელი დამავიწყდა.

•••

მამაკაცი მნიშვნელოვან შეხვედრაზე მანქანით მიდის, აგვიანებს, ნერვიულობს, მანქანის დასაყენებელ თავისუფალ ადგილს ვერ პოულობს, ბოლოს ვედრებით წარმოსთქვამს:

— ღმერთო, დამეხმარე, მანქანის გასაჩერებელი ადგილის პოვნაში და აღარ დავლევ, აღარ მოვწევ, ყოველ კვირა დღეს ეკლესიაში ვივლი!

უცბად, თავისუფალი ადგილი შენიშნა, მანქანა გააჩერა და ჩაილაპარაკა:

— აღარაა საჭირო, ადგილი ვიპოვე!

•••

კაცი პარაშუტით გადახტა, მიფრინავს და გადამცემში აღფრთოვანებული ამბობს:

— რა სილამაზეა! როგორი შეგრძნებაა თავისუფლების! და იქ, ქვევით, ადამიანები როგორი პატარები ჩანან, ჭიანჭველებივით...

ამ დროს ყურსაცმში ესმის:

— უტვინო, რგოლს თითი გამოჰკარი, ადამიანები კი არა, მართლა ჭიანჭველებს ხედავ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 21 მარტიდან

რეი ბრედბერი

# მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი**

## დუგლას კოსტამ სერიოზული ტრავმა მიიღო



მიუნხენის ბაიერნის ბრაზილიელმა შემტევმა დუგლას კოსტამ მძიმე ტრავმა მიიღო და შესაძლოა ის სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმაროს თავის გუნდს.

კოსტას მუხლის ტრავმა აქვს და შესაძლოა ქირურგიული ჩარევა გახდეს საჭირო, ამ შემთხვევაში კი ბრაზილიელი ფეხბურთელი მინიმუმ რამდენიმე თვეს გამოტოვებს.

უკვე ცნობილია, რომ კოსტა ბაიერნს რეალის წინააღმდეგ შეხვედრებში ვერ დაეხმარება. დუგლას კოსტა ბაიერნში 2015 წელს გადავიდა და პირველ სეზონში ძალიან წარმატებული იყო, თუმცა შემდგომ ფორმიდან ამოვარდა და წელს ბაიერნის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა.

## რიო ფერდინანდი თვითმკვლელობაზე ფიქრობდა



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა მცველმა რიო ფერდინანდმა ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც მისი ცოლი რებეკა ელისონი გარდაიცვალა.

რებეკა 2015 წლის მაისში მკერდის კიბოს ემსხვერპლა და მას შემდეგ რიო ცდილობდა ამ თემაზე არ ესაუბრა. ამჯერად ფერდინანდმა დუმილი დაარღვია და თქვა, რომ მან ძალიან მძიმე პერიოდი გამოიარა თავისი ცოლის სიკვდილის შემდეგ.

ფერდინანდმა აღიარა, რომ ერთი პერიოდი ის სუიციდზეც ფიქრობდა, მაგრამ თავისი შვილების გამო მან ეს ეტაპი გადალახა.

რიოს თქმით, მისმა შვილებმა ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

ამჟამად ფერდინანდი ტელევიზიაში ფეხბურთის ანალიტიკოსად მუშაობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. პოლიფონიური მუსიკალური ნაწარმოები; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული სარკინიგზო ვაგზალი; 6. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. უბანი ძველ თბილისში; 10. ცხენისა და ვირის ნაჯვარი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. ფეხბურთში მცველის ძველებური სახელწოდება; 16. მონასტერი ხულოს რაიონში; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭასა და ლეჩხუმში დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 3. შამფურზე შემწვარი, ხახვით და სუნელებით შეკმაზული, დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 9. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი, სამშენებლო მასალა; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. ტბა თბილისში; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**